ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 მაისი **ხუთშაბათი** 2014
№087 (14 308) ფასი 80 თეთრი




ლერი ხაბელოვი აჯილდოვებს თენგიზ გაჩეჩილაძეს
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ლელო, შე ძველო!

## 80 წლის იუბილარი საქართველოს სპორტულმა სამყარომ დააფასა




2-3, 16

ლელოს მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ipn-ის ფოტო

# ბრაზილია დაირაზმა




7

# ზეიმი ჩიხურაში ჩაიხრჩო



4

ეროვნული ბიბლიოთეკა



თენგიზ გაჩეჩილაძე და მარიკა დარჩია





წინა პლანზე მარცხნიდან: ნინო სალუქვაძე, ნელი სალაძე, მედეა ვეკუა

# ლელო და საქართველო

- გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში რომ შეაბიჯებდი და ლელოელი გახდებოდი, სხვაგან ველარ წახვიდოდი. დაახლოებით ისე, მსახიობები თეატრის მტვერს რომ ჩაისუნთქავენ და თეატრიდან ველარ გადიან. საბჭოთა პერიოდში ხომ მხოლოდ სპორტში იყო სიმართლე, „ლელოში“ კი ცნობილი მოღვაწეები მუშაობდნენ, მწერლები, მხატვრები, ინტელექტუალი ხალხი, რომლებთან ურთიერთობა ყველასთვის სასიამოვნო იყო, - გაიხსენა „ლელოს“ ყოფილმა რედაქტორმა **არჩილ გოგელიამ** გაზეთის 80 წლის იუბილეზე, რომელიც გუშინ კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა.

ღონისძიება სამ ეტაპად იყო გაყოფილი. პირველი ნაწილი ღია ცის ქვეშ შედგა: გაზეთის რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე** სპორტის სამყაროს „მუზას“ ეზოში მიეგება. წამყვანი **ჯამლეტ ხუხაშვილი** სტუმრებს ღონისძიებისთვის განგებ დადგმული საფეხბურთო კარისკენ უხმობდა, სადაც სამი პენალტის ავტორი ფეხბურთის ბურთით ჯილდოვდებოდა. პენალტის ნიშნულთან მივიდნენ ვეტერანი ფეხბურთელი **მანუჩარ მაჩაიძე**, ყოფილი კალათბურთელი **ვლადიმერ ბოისა**... ხოლო საკალათბურთო ფარში საჯარიმო ტყორცნების სიზუსტით ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელი **კახა ბერიძე** გამოირჩა. ამის დანახვაზე ჯამლეტ ხუხაშვილმა იკითხა: სად არის საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი**?

დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ფორმულა 3-ის ბოლიდთან და **ლეო მესისთან** ფოტოები გადაეღო. საამისოდ საჭირო იყო დიდი სურათის უკან დადგომა და ვალენსიელი ფეხბურთელის (რომელიც მესის მისდევდა) ამოჭრილი სახიდან გამოხედვა. მოშორებით მშვილდოსნობაში ძალების მოსინჯვაც შეიძლებოდა და 11-გზის ოლიმპიურ ჩემპიონ **ნონა გაფრინდაშვილთან** საჭადრაკო პარტიის თამაში... თამაში კი ბატონო, მოგებაზე რა მოგახსენოთ...

სპორტულ ღონისძიებას დამატებითი ელფერი შესძინეს ჭაბუკმა კარატისტებმა და ძიუდოისტებმა, რომელთაგან რამდენიმე შესაძლოა რამდენიმე წლის შემდეგ ისევე მოხვდეს დიდ ეკრანზე, როგორც გუშინ **ლაშა შავდათუაშვილი, ზვიად ზვიადაური** და სხვა საქართველოსთვის სახელის მომხვეჭი სპორტსმენები.

როგორც მიხვდით, ღონისძიების მეორე ნაწილი „მუზას“ დარბაზში გაიმართა. ჩვენც სპორტულ საზოგადოებასთან ერთად შენობაში შევიდეთ, სავარძელზე მოვკალათდეთ და მოვუსმინოთ წამყვან **დავით მინაშვილს**, რომელმაც „ლელოს“ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს 75 წლის იუბილე მიულოცა და მიკროფონი დაუთმო:

- ყველას მადლობას მოვახსენებ ჩვენი დაფასებისა და იუბილეზე მობრძანებისთვის, მადლობა „პალიტრა მედიას“, რომლის ფრთებქვეშაც 2008 წლიდან „ლელოს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა. 80 წლის განმავლობაში ჩვენს გაზეთს არაერთი გამარჯვება და იმედგაცრუება უნახავს. ზოგიერთი ლელოელი ჩვენს გვერდით აღარ არის. ამასწინათ, აღმოვაჩინე წითელი ფერის ჩანთა, რომელიც ჩვენმა ცხინვალელმა კორესპონდენტმა სამაჩაბლოში წასვლის წინ დატოვა. სამწუხაროდ, იგი მას მერე აღარ დაბრუნებულა...

„ლელოს“ რედაქტორის შემდეგ სცენაზე სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი ავიდა:

- გაზეთის მრავალწლიან ისტორიაში იცვლებოდა სახელი, იცვლებოდა კოლექტივი, შეიცვალა ფასიც, ქვეყანაც, მაგრამ „ლელო“ დღესაც მთავარი სპორტული გაზეთია, რომლის ამოცანა უწინდელი რჩება - ქართული სპორტის ხელშეწყობა.

ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა **ლერი ხაბელოვმა** ოლიმპიური პროპაგანდისთვის „ლელოს“ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს სპეციალური ოლიმპიური მედალი გადასცა.

ჩვენი გაზეთისა და საიტ „სპორტალის“ გამოკითხვის მიხედვით, 2013 წლის საუკეთესო ქართველი მორაგბე **მამუკა გორგოძე** გახდა. რადგან „ლელო“ იუბილისთვის ემზადებოდა, გადაწყდა, ჯილდო მამუკასთვის გაზეთის საიუბილეო საღამოზე გადაეცათ. გორგოძე ამჟამად საფრანგეთშია, ამიტომ ჯილდო რაგბის ნაკრების მენეჯერმა **ვაჟიკოლ აბაშიძემ** მიიღო.

„სპორტალზე“ ბოლო ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა გამოკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა ორ კითხვაზე: ვინ არის ბოლო 80 წლის საუკეთესო ქართველი მამაკაცი და ქალი სპორტსმენი? ზოგი შესაძლოა, არ დაეთანხმებოდა წინასწარ წარდგენილ ხუთეულს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით - გამოკითხვებში დამსახურებულად გაიმარჯვეს **ნონა გაფრინდაშვილმა** და **დავით ყიფიანმა**. ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს შესაბამისად, **ნინო სალუქვაძემ** და **მაია ჩიბურდანიძემ**, ხოლო მამაკაცებში - **ლევან თედიაშვილმა** და **ვიქტორ სანეევმა**.

ქალბატონმა ნონამ ერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა:

- ასეთი აღიარებები მაინც პირობითია. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ საქართველოში სპორტი ყოველთვის უყვარდათ და ეყვარებათ. 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ხუან ანტონიო სამარანჩი იყო ჩამოსული, გავაცანით სპორტული მიღწევები და ვუთხარით - პატარა ქვეყანა კი გვაქვს, მაგრამ ბევრი წარმატებული სპორტსმენი გვყავს-თქო. სამარანჩიმ მოკლედ მოგვიჭრა: დიდი ქვეყანა გქონიათო.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელმა **ჰამლეტ გეგიამ** სცენაზე იხმო „ლელოს“ სამი ჟურნალისტი: **მერაბ მამულაშვილს** სერგი მესხის სახელობის პრემია მიენიჭა, ხოლო **ვაჟა დანელიასა** და **გია ტუხაშვილს** საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. ფოტოგრაფს **ალექსანდრე კოტორაშვილს** სპეციალური ჯილდო გადაეცა, ხოლო სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ გაზეთი „ლელო“ დააჯილდოვა **მიხეილ კაკაბაძის** პრემიით, რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე - **ნოდარ გუგუშვილის** სახელობის პრემიით.

საჩუქართა შორის იყო თანამედროვე ტიპის, უმაღლესი ხარისხის ტელევიზორი („პალიტრა მედიისგან“), ასევე 300-ლარიანი ვაუჩერი „სილქნეტისგან“, მოკლედ, ყველაფერი მსოფლიოს კარსმომდგარი ჩემპიონატის სათანადოდ საყურებლად. საღამო კი საპატრიარქოსთან არსებულმა უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდის „მრავალჟამიერმა“ დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის, გურამ დოლენჯაშვილისა და IPN-ის ფოტოები**



ილია ბაბუნაშვილმა (მარჯვნივ) და ბიძინა ბარათაშვილმა ლელო დააჯილდოვეს



ვაჟა დანელიამ (მარცხნივ) დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიიღო



სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი ნორჩ ძიუდოისტებთან





გია ტუხაშვილს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიანიჭეს



შეჯიბრება საჯარიმოების ტყორცნაში

I–VI ადგილები

# ზეიმი ჩიხურაში ჩაიხრჩო

07.05. თბილისი. დინამო არენა
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 0 |
| ჩიხურა | 0 |

დინამო: ლორია, ხურცილავა, ხიდეშელი, რეხვიაშვილი, კვირკველია, ძარია, ცინცაძე (82. ჯანელიძე), გორგიაშვილი (46. პაპუნაშვილი), მერებაშვილი, ჩისკო (64. მოდებაძე), მარცვალაძე.

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, გველესიანი, პაპავა, გოგა.

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ჩიხურა: სომხიშვილი, კაშია, ჭელიძე, ხმალაძე, ოდიკაძე, დათუნაიშვილი, ბეჭვაია, დეკანოიძე, ჯილაური (87. ლომია), ქიმაძე, გაბედავა.

*სათადარიგოები:* თევდორაძე, ჩიკვაიძე, ივანიშვილი, ნადირაძე.

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ბეჭვაია (54), ჭელიძე (58), ხიდეშელი (74), დეკანოიძე (76), ხმალაძე (89)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი


ჩისკომ (შუაში) ჩიხურას ამჯერად ვერ გაუტანა ფოტო: www.fcdinamo.ge

„ჩიხურასთან" შეხვედრას „დინამოს" ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ - მოგების შემთხვევაში მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ჩემპიონობას ინაღდებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სტუმრებმა საკუთარი კარის „მშრალად" შენახვა მოახერხეს და „დინამოს" გაჩემპიონება გადაავადეს.

არადა, თბილისელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს, მაგრამ **დავით კვირკველიას** კუთხურსა და **გიორგი ხიდეშელის** საჯარიმო დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია. ამას შეტევითვე უპასუხეს სტუმრებმა და ჯარიმის უფლება მოიპოვეს, თუმცა ექსდინამოელი **დავით ოდიკაძის** დარტყმაც ასევე უშედეგო აღმოჩნდა. მე-8 წუთზე სტუმართაგან ერთ-ერთმა აქტიურმა **გიორგი გაბედავამ** სცადა **გიორგი ლორიას** კარის აღება, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე.

პირველმა ტაიმმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, ტერიტორიულ უპირატესობას დინამოელები კი ფლობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს ან „ჩიხურას" მცველები და მეკარე **სომხიშვილი** უმკლავდებოდნენ, ანდაც თავად მასპინძლები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში.

თავის მხრივ, საჩხერლებმაც სცადეს რამდენჯერმე, შეეტიათ ლორიას კარისთვის, გაბედავამ და **ხმალაძემ** საშუალო დისტანციიდან დარტყმებით სცადეს ფონს გასვლა, თუმცა ტაიმი მაინც 0:0 დასრულდა.

შესვენების შემდეგ „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ თორნიკე გორგიაშვილის** ნაცვლად შემტევი **გიორგი პაპუნაშვილი** შეუშვა მინდორზე და. სცადა, მეტოქეზე დაწოლა გაეძლიერებინა. დინამოელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ სომხიშვილის კარს გასაღები ვერაფრით მოარგეს.

„დინამოს" შემტევები პერიოდულად ცდილობდნენ, სიმწვავე მიეცათ იერიშებისთვის, რამდენჯერმე **გიორგი მერებაშვილმა** სცადა ფლანგიდან ხიფათი შეექმნა, თუმცა სახეირო არც აქედან გამოვიდა რამე.

შეხვედრის ბოლო წუთებზე მასპინძლებმა რაღაც შტურმისმაგვარი მოაწყვეს, არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე **რეხვიაშვილი** და **კვირკველია** ცდილობდნენ გატანას, მაგრამ **ალექსანდრე კრიჭაშვილის** საფინალო სასტვენმა ფრე და „დინამოს" საჩემპიონო ზეიმის გადადება გვამცნო.

**კობა ინასარიძე**

# ცხრაკლიტული

07.05. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გურია | 0 |
| ზესტაფონი | 5 |

0:1 საბანაძე (19. ღონღაძის პასით), 0:2 გეწაძე (28. დოლიძის პასით), 0:3 კაპანაძე (48. დოლიძის პასით), 0:4, გეწაძე (57), 0:5 გეწაძე (79. კუხიანიძის პასით).

გურია (4-2-3-1): ხვედელიძე - ზარნაძე, ბერიანიძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი - ჭეიშვილი, ნ. კილაძე (46. ინგოროყვა) - შენგელია, ე. კილაძე (60. ტეიდი), კვირტია (74. თოდაძე) - ისიანი

*სათადარიგოები:* იმერლიშვილი, პ. ხორგუაშვილი

მწვრთნელი: დავით მახარაძე

ზესტაფონი (4-4-2): პავლოვიჩი - ღონღაძე, თ. გრიგალაშვილი, ზ. ჭელიძე, გ. გურული - დოლიძე, ჭანტურიშვილი, შარიქაძე (67. ფანცულაია), გეწაძე - კაპანაძე (58. კუხიანიძე), საბანაძე (60. ტატანაშვილი).

*სათადარიგოები:* მეშველიანი, ენდელაძე, სარდალიშვილი, ჭანკოტაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ქურდაძე (37), ჭეიშვილი (64)

არბიტრი: ხ. გაგნიძე

ზედიზედ მეცხრე შეხვედრა წააგო „გურიამ", რომელსაც პირველ ეტაპზე ამ სეზონის აღმოჩენად ასახელებდნენ. მართალია, მოუგებელი სერიის შეწყვეტის დიდი იმედი გურულებს „ზესტაფონთან" არ ჰქონიათ, მაგრამ ლანჩხუთელებმა ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარეს და მარცხიც ყველაზე დიდი ანგარიშით იგემეს.

ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა: რაც მატჩამდე გურულთა თავკაცმა **დავით მახარაძემ** თქვა (აქციების ფონზე ჩავარდნილი საწვრთნელი პროცესი) და რაც უკვე მერამდენე თამაშია „გურიას" საქმეს ურთულებს - სხვადასხვა მიზეზის გამო ძირითადის არაერთი მოთამაშის გარეშე ასპარეზობა.

ყველაზე დიდი დანაკლისი **მინდია ბობლიაშვილის** არყოფნა გამოდგა - დუბლიორთა მეკარემ გამოცდილი კარის დარაჯი ჯეროვნად ვერ შეცვალა, თუმცა წაგებას მხოლოდ **ირაკლი ხვედელიძეს** ვერავინ დააბრალებდა: „ზესტაფონი" იმას აკეთებდა მოედანზე, რაც უნდოდა.

მატჩის დასაწყისში **თორნიკე კაპანაძის** მიერ შორეული ძელისკენ „ნასროლი" ასცდა კარს, ხოლო **ალეკო შენგელიამ** მეტოქის მცველიდან რიკოშეტით წასულ ბურთზე კუთხე ვერ ჩაკეტა.

მომდევნო ათწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ორჯერ გაიტანეს - ჯერ **თემურ ღონღაძემ** ჩაუწოდა შორეულ ძელთან **ნიკა საბანაძეს**, რომლის თავური დარტყმა გურულთა ახალბედა მეკარემ ხელში ვერ შეიმაგრა, ხოლო იმავე მარჯვენა ფლანგიდან **გრიგოლ დოლიძის** გამოზომილი გადაცემით უკვე **რევაზ გეწაძემ** იხეირა, 2:0.

მალევე ჯერ საბანაძეს და შემდეგ კაპანაძეს შეეძლოთ გატანა, მაგრამ კარგი შანსის გამოყენებას წინ მეკარე აღუდგა.

თუმცა კაპანაძემ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მაინც გაიტანა - ასისტენტად კვლავ დოლიძე მოგვევლინა - ფლანგელმა ამჯერადაც ჩინებული გადაცემა გააკეთა მეტოქის საჯარიმოში.

სხვათა შორის, დოლიძის კარიერა სწორედ „გურიაში" დაიწყო. მან კიდევ ერთ გოლში მიიღო მონაწილეობა, როცა კარგად შეუტია ფლანგზე, შემდეგ **კუხიანიძე** მოძებნა, რომელმაც გეწაძეს ჰეთ-თრიკი შეასრულებინა.

მანამდე რევაზმა ხვედელიძეს საჯარიმოს კუთხიდან დანიშნული ჯარიმიდან გაუტანა. სულ ბოლოსაც ჰქონდათ კარგი შანსი ფეროელებს, მაგრამ შეცვლაზე შესულმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** ჩინებული შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

მატჩის დროსაც და შემდეგაც ადგილობრივი ქომაგი ამდენი წაგებისა და ამჯერად 0:5 განადგურების გამო პრეტენზიებს გამოთქვამდა, ნამატჩევს კი საკმაოდ არასასიამოვნო შეძახილებიც გაისმა...

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან


ანგარიში ნიკა საბანაძემ (მარჯვნივ) გახსნა

07.05. რუსთავი. ფოლადი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 2 |
| სიონი | 0 |

1:0 კილასონია (80), 2:0 კიტეიშვილი (87)

მეტალურგი: სეფიაშვილი, სეთურიძე, კაკაშვილი (74. კიტეიშვილი), კილასონია, საჯაია, დობროვოლსკი, მიქაბერიძე (74. კილასონია), ქავთარაძე, ცნობილაძე, ხაბელაშვილი (68. გოგინაშვილი), ჩირგაძე.

*სათადარიგოები:* ჩიმაკაძე, ლომაია, ტორონჯაძე, ნადირაძე

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

სიონი: მერლანი, აბრამიძე, ფოფხაძე, კანდელაკი, თოთაძე, სამხარაძე (46. უგულავა), აფციაური (46. განუგრავა), კახელიშვილი, გოგობერიშვილი (84. მამასახლისი), ზ. ლობჟანიძე, ადამია.

*სათადარიგოები:* იმედაშვილი, სვანიძე, ქემოკლიძე, ზუხბაია.

მწვრთნელი: ლადო ბურდული

გაფრთხილება: ხაბელაშვილი (66), თოთაძე (79), კახელიშვილი (79)

არბიტრი: ა. ბასლეჰლო

I–VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 30 | 19 | 5 | 6 | 62 | 23 | 62 |
| 2 | ზესტაფონი | 30 | 18 | 4 | 8 | 45 | 21 | 58 |
| 3 | სიონი | 30 | 16 | 6 | 8 | 41 | 30 | 54 |
| 4 | ჩიხურა | 30 | 13 | 7 | 10 | 52 | 44 | 46 |
| 5 | მეტალურგი | 30 | 12 | 6 | 12 | 34 | 37 | 42 |
| 6 | გურია | 30 | 11 | 0 | 19 | 28 | 50 | 33 |

ბომბარდირები:

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 16 |
| ტატანაშვილი (ჩიხურა/ზესტაფონი) | 14 |
| ისიანი (გურია) | 10 |
| ნ. საბანაძე (ტორპედო/ზესტაფონი) | 10 |
| გაბედავა (ჩიხურა) | 10 |
| გოგა (დინამო თბ) | 9 |
| მოდებაძე (დილა/დინამო თბ) | 9 |

XXXI ტური
11 მაისი. კვირა
მეტალურგი-გურია
სიონი-დინამო (თბ)
ჩიხურა-ზესტაფონი

აქტუალურ თემაზე


ვის რა პრობლემები აქვს ლიცენზირებაში?
ასეთ სტადიონზე თამაში შეიძლება?

# ქართული ფეხბურთის ლაკმუსის ქაღალდი

**ახლახან, უეფამ საკლუბო ლიცენზირებისა და ფინანსური „ფეარ პლეის" შედეგები გამოაქვეყნა. მოკვლევა იმ 700 ევროპულ კლუბში ჩატარდა, რომლებიც 2013/14 წლების სეზონის ევროთასებზე მონაწილეობდნენ. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო ამ ყველაფრით იმიტომ დაინტერესდა, რომ ბოლო წლებში, ტოტალიზატორებთან დაკავშირებული კრიმინალური დაჯგუფებები უხეშად იჭრებიან ფეხბურთში და, შესაბამისად, მომრავლდა საეჭვო და გარიგებული მატჩებიც. შედეგად, კლუბების საგრძნობი ნაწილი ვერ ასაბუთებს, როგორ აღემატება მათი შემოსავლები ხარჯებს და, ცხადია, უეფა ამაზე პასუხს ეძებს. საკითხის შესწავლით დადასტურდა, რომ ბევრი კლუბი, ფინანსური გამჭვირვალობის ნაცვლად, გაუმჭვირვალობის ბურუსითაა მოცული და მრავალი დარღვევაცაა, რაც ლიცენზირების მოთხოვნების უხეში დარღვევაა...**

**„გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფეხბურთს ევროპის მოსახლეობის 77 პროცენტი უყურებს. ეს უნიკალური მაჩვენებელია და იმაზეც მიუთითებს, რომ საფეხბურთო ტურნირების ორგანიზატორებს, გუნდებსა და ქვეყნების ხელისუფალთ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისთვის, რომ თამაშები ჯანსაღ გარემოში ტარდებოდეს. ბოლო დროს არის ტენდენცია, რომ ფეხბურთში უფრო და უფრო მეტი ადამიანი აბანდებს თანხას, ფინანსური წაგების მაჩვენებელი კი 2 მილიარდიდან 600 მილიონ ევრომდე შემცირდა, მაგრამ ამ კუთხით მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, რათა ევროპული კლუბები კიდევ უფრო მომგებიანები გახდნენ", - განაცხადა უეფას გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტინომ.**

**ბოლო წლებში, ლიცენზირების პრობლემების მოუგვარებლობის გამო, ევროტურნირებში 44 კლუბი არ დაუშვეს. წლეულს ფინანსური „ფეარ პლეის" პრინციპების დამკვიდრების დასკვნითი ფაზაა და უეფა ცდილობს, კლუბებმა ამ საკითხს და ფინანსური მდგრადობის დაგეგმარებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.**

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*



*მეორე გვერდიდან*

## კატასტროფა

ასეა ევროპაში, საქართველოში კი რა მძიმე მდგომარეობაცაა, ყველას კარგად მოეხსენება. 25-27 აპრილს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების განყოფილებასთან არსებულმა სალიცენზიო კომისიამ (თავმჯდომარე **ნარგიზ ჩხიკვაძე**, წევრები - **რევაზ შენგელია, დიმიტრი ბოკერია, თამარ ჭიჭინაძე**) ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 12 და პირველი ლიგის 5 კლუბის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა დაასრულა.

ამის შემდეგ, კომისიამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო და 2014/15 წლების საფეხბურთო სეზონზე ლიცენზია მხოლოდ 9 კლუბზე გასცა: უეფასა და ეროვნული ლიცენზიები მიიღეს თბილისის „დინამომ", „ზესტაფონმა", ბოლნისის „სიონმა" და საჩხერის „ჩიხურამ", ხოლო ეროვნული ლიცენზიები - „ვიტ ჯორჯიამ", ცხინვალის „სპარტაკმა", ფოთის „კოლხეთმა", ქობულეთის „შუქურამ" და „გაგრამ".

კატასტროფული მდგომარეობა კიდევ ერთხელ დადასტურდა: ეროვნული ლიცენზიაც კი ვერ მიიღო უმაღლესი ლიგის კლუბების ზუსტად ნახევარმა - რუსთავის „მეტალურგმა", ლანჩხუთის „გურიამ", ქუთაისის „ტორპედომ", გორის „დილამ", „ზუგდიდმა", მარტვილის „მერანმა". უარით გაისტუმრეს პირველი ლიგის ლიდერების ნაწილიც, რომლებიც უმაღლესში გადასვლას ცდილობენ - „სამტრედია" და ბათუმის „დინამო".

უფრო მნიშვნელოვანი შემდეგი თემაა: ულიცენზიოდ დარჩენილი კლუბების ფანებს ჰგონიათ, რომ მათ საყვარელ კლუბებს უმაღლეს ლიგაში არ დაუშვებენ. მაგალითად, ქუთაისის „ტორპედოს" ქომაგთა კლუბმა „ჯუნგლებმა" განცხადებაც გამოაქვეყნა. კითხვები აქვთ სამტრედიელ, გორელ, რუსთაველ, ბათუმელ და ლანჩხუთელ გულშემატკივრებსაც.

## საეჭვოა, რამე შეიცვალოს...

შესაძლოა, ლიცენზიის არქონა არ ნიშნავდეს, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს, ეს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა **დიმიტრი ბოკერიამ** გვითხრა:

*„თუ კლუბებს სახელმწიფო დააფინანსებს და ყველას ექნება საშუალება, რომ ლიცენზირების მოთხოვნები დააკმაყოფილოს, ასეთ შემთხვევაში, სასურველიც იქნება და აუცილებელიც, რომ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ლიცენზირებული კლუბები ვათამაშოთ. ასეთი ჩანაფიქრი არსებობს კიდეც. მაგრამ ეს პროექტი სამომავლოდ თუ განხორციელდება. ახლა კი მოთხოვნები მხოლოდ 9 გუნდმა დააკმაყოფილა. ამიტომ, რეალობას გვერდს ვერ ავუვლით - ცხრაგუნდიან ჩემპიონატს ხომ არ ჩავატარებთ. მაგრამ, რომელი გუნდები ითამაშებენ უმაღლეს ლიგაში და დაუშვებენ თუ არა არალიცენზირებულებს, ეს საკითხი ჩვენი გადასაწყვეტი არ არის".*

კლუბები ლიცენზირების კომისიის გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირებულები არიან. ბევრი მათგანი მიღებული პასუხით უკმაყოფილო დარჩა - მათ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ლიცენზირების სააპელაციო ორგანოში (თავმჯდომარე **დავით კალანდაძე**) 5 მაისამდე ჰქონდათ. ბოკერია ამბობს, რომ ამ მცირე დროში პრობლემების მოგვარება ძნელი იქნება:

*„კლუბების აპელაციები 11 მაისს განიხილება. არსებობს შეთანხმება საკითხის კონფედენციალობის თაობაზე და დაკონკრეტების უფლება არ მაქვს. ზოგადად კი ვიტყვი, რომ რამდენიმე კლუბს ისეთი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, მეეჭვება, სააპელაციო ვადაში მნიშვნელოვნად რამე შეიცვალოს. მაგალითად, არის კლუბი, რომელსაც 100 პუნქტიდან მხოლოდ 4 აქვს მოგვარებული. როცა ექვს თვეში მეტი ვერ მოახერხა, ცხადია, დარჩენილ დროში 96 პუნქტის მოწესრიგება არარეალურია და ლიცენზიას ვერ მიიღებს. მაგრამ არიან ისეთი კლუბებიც, რომელთაც გაცილებით ნაკლები პრობლემები აქვთ და იმედია, მალე მოაგვარებენ. მთავარი კი ყველამ უნდა იცოდეს - ასეთი სიმკაცრე ისევ კლუბებს წაადგებათ, რათა დღევანდელზე მეტად მოწესრიგებულები რომ იყვნენ".*

ორ იმერულ კლუბს, ქუთაისის „ტორპედოსა" და „სამტრედიას", დაახლოებით მსგავსი პრობლემები აქვთ: პირველში - გაურკვეველია კლუბის დამფინანსებლის ვინაობა, სამტრედიელებს კი არ წარუდგენიათ დოკუმენტაცია დაფინანსების შესახებ. ქუთაისელთა მენეჯერი **გიორგი ხურციძე** ამბობს, რომ მდგომარეობა საგანგაშო არ არის:

*„ჩვენ ლიცენზია არ მოგვცეს, რადგან ჯერჯერობით ვერ წარვადგინეთ საგარანტიო წერილი იმის შესახებ, რომ მომდევნო სეზონს აუცილებლად ჩავამთავრებდით. ამის გარეშე კლუბი ლიცენზიას ვერ მიიღებს. საქმე ისაა, რომ ქუთაისის „ტორპედოს" მეპატრონის საკითხია გაურკვეველი. სწორედ მან უნდა წარადგინოს ასეთი გარანტია. კომპანია „ვისოლის" პოზიცია ზუსტად არც ვიცით. მაგრამ ეს საკითხი მალე უნდა მოგვარდეს და იმედია, ლიცენზიას მივიღებთ".*

ულიცენზიო კლუბების გულშემატკივრები აღშფოთებულები არიან და უკვირთ, როგორ არ მისცეს ლიცენზია მათ კლუბებს, როცა ზოგიერთ ლიცენზირებულს საკუთარი სტადიონი არ აქვს. ამ შემთხვევაში, სტადიონის საკუთრება პრობლემას არ ქმნის, რადგან ევროპაშიც ბევრი კლუბი იჯარით აღებულ მუნიციპალურ სტადიონებზე თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ახალი სეზონიდან 3 წრედ?

ცნობილია, რომ მომავალი ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გამართვის ორი მოდელი არსებობს - კლუბების მიერ შეთავაზებული 16-გუნდიანი ვარიანტი, რომელსაც მხარს ფეხბურთის ფედერაციაც უჭერს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კი 12-გუნდიან მოდელს ემხრობა. ამ ორ ორგანიზაციას შორის დავა უკვე ღია კონფლიქტშია გადასული.

სეზონი დასასრულს უახლოვდება, პირველ ლიგაში სამი გამარჯვებული ცნობილია, მაგრამ ჯერ არ არის პასუხი კითხვებზე - როგორი მოდელით გაიმართება მომავალი ჩემპიონატი და როდის ჩატარდება პირველი ლიგის 4 საუკეთესო გუნდის პლეი ოფის მატჩები, ან გაიმართება საერთოდ თუ არა?

ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსს **დიმიტრი ბოკერიას** ამ კითხვებით მივმართეთ:

*„ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში, რაც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ამიტომაც ყოვნდება პლეი ოფის მატჩების კალენდრის შედგენა და თარიღების გამოცხადება. ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა კლუბების მოთხოვნა და 16-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი განსახილველად წარადგინა. მაგრამ მისი განხორციელება მთლიანად სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული. თუ თანხმობა იქნება და კლუბებს დააფინანსებენ, ასეთ შემთხვევაში, 16-გუნდიანი ჩემპიონატი ყველაზე ოპტიმალური მოდელი იქნება, რადგან კლასიკური ვარიანტის კალენდრის შედგენა ადვილი იქნება. ხოლო თუ კლუბებს არ დააფინანსებენ, მაშინ 16-გუნდიანი ტურნირი აბსოლუტურად გაუმართლებელი იქნება და ისევ 12-გუნდიანი ჩემპიონატის გამართვა მოგვიწევს".*


დიმიტრი ბოკერია

ბოკერიამ ჩემპიონატის შესაძლო მოდელზე საინტერესო სიახლე გაგვიმხილა: *„თუ საბოლოოდ გადაწყდება 12-გუნდიანი ჩემპიონატის გამართვა, პირადად მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, რომ გუნდები ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყონ. ჩემი აზრით, აჯობებს 3-წრიანი ტურნირი. ასეთ შემთხვევაში, თითოეული გუნდი ჩემპიონატში 33 მატჩს გამართავს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიეცემა აზრი ყველა თამაშს".*

საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელი არსებულ პრობლემებზეც ლაპარაკობს: *„ოპტიმალური მოდელის შემუშავება ძნელი არ არის. მაგრამ მთავარი დაბრკოლება - კლუბებში არსებული ფინანსური პრობლემებია. ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით არ მოგვარდება, საამისოდ, დროა საჭირო. სახელმწიფოს დაინტერესება ამიტომ გვაიმედებს - სასურველი იქნება, ფეხბურთის დახმარების პროგრამა მალე ამუშავდეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ანანიძე ფინალში სპარტაკზე არ იფიქრებს

როდესაც 6 მაისს, „როსტოვის" ღია ვარჯიშზე, რუსეთის თასის ფინალის წინ (8 მაისს „კრასნოდარის" წინააღმდეგ ქალაქ კასპიისკში) „პატარა პირლო", როგორც **ჯანო ანანიძეს** გუნდში ეძახიან, არ გამოჩნდა, ფანები შეშფოთდნენ - შეძლებს კი ქართველი თამაშს სეზონის გადამწყვეტ მატჩში. ისინი „როსტოვის" ექიმმა დაამშვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ჯანოს სპეციალური ტესტირება ჩაუტარეს დაზიანებულ კუნთზე და პასუხის მიხედვით, მის კუნთს 90 წუთი თამაშის გაძლება შეუძლია.

და მაინც, „როსტოვის" გულშემატკივრებმა შვებით მხოლოდ 7 მაისს ამოისუნთქეს, როცა ჯანო მართლაც გამოჩნდა გუნდის ვარჯიშზე. ქართველმა, ჩვეულებრივ, გუნდთან ერთად ივარჯიშა და ის აუცილებლად იქნება თასის ფინალში „კრასნოდარის" წინააღმდეგ. „როსტოვი" კასპიისკში უკვე გაფრინდა ჩარტერული რეისით.

ჩვენ უკვე ვწერდით დელიკატურ სიტუაციაზე, რომელშიც ჯანო და მისი თანაგუნდელი **არტიომ ძიუბა** აღმოჩნდნენ. ორივე „სპარტაკის" ფეხბურთელია და თუ „სპარტაკი" ჩემპიონატში „კრასნოდარს" ვერ დაეწევა და თასს „როსტოვი" მოიგებს, ჯანო და არტიომი საკუთარ კლუბს ევროთასების გარეშე ტოვებენ.

ამას რუსულ მედიაშიც მიაქციეს ყურადღება. აი, რა თქვა „სპარტაკის" ყოფილმა ფეხბურთელმა **ევგენი ლოვჩევმა**:

*„მინდა გამოვეხმაურო იმ განაცხადებს, თითქოს ძიუბამ შეიძლება „სპარტაკს" ევროპისკენ გზა გადაუკეტოს. სისულელეა ეს. თასის მოგება ისტორიაში შესვლაა, ამაზე უარს ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ იტყვის. ჯანომ და ძიუბამ მხოლოდ „როსტოვზე" უნდა იფიქრონ, უნდა გაიმდიდრონ კარიერა ტიტულებით. „სპარტაკმა" კი თავის თავს თავად უნდა მიხედოს".*

ამ სიტუაციას გაზეთი „სპორტ-ექსპრესიც" გამოეხმაურა: *„სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ ჯანო და ძიუბა „სპარტაკს" „შეიწყალებენ". მათ კარგად ახსოვთ, როგორ არ მისცა „სპარტაკმა" ჩემპიონატში მათ წინააღმდეგ თამაშის უფლება. პირიქით, ფინალში ორივე მოტივირებული იქნება. „სპარტაკის" რიგებში მათ არ მოუპოვებიათ ტიტულები, „როსტოვში" კი შეუძლიათ. თითოეული ასეთ სიტუაციაში მხოლოდ თავის კარიერაზე ფიქრობს, დანარჩენი კი ფანური სენტიმენტებია და რეალობასთან კავშირი არა აქვს. თან, იმის გარანტიაც არა აქვთ ამ ბიჭებს, რომ „სპარტაკის" ახალი მწვრთნელი აუცილებლად მოინდომებს მათ უკან დაბრუნებას".*

ჯანოს შესახებ „როსტოვის" მწვრთნელმა **მიოდრაგ ბოჟოვიჩმაც** ისაუბრა: *„ჯანო ფეხს იტკიებდა, ბოლო მატჩები ნემსებით ითამაშა. ამიტომაც „დინამოსთან" დასვენების საშუალება მივეცი. ახლა ჯანო სრულ მზადყოფნაშია".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჯანო ანანიძე ფინალისწინა ვარჯიშზე

ლეგიონი

# გელაშვილი და დვალი ჩემპიონები გახდნენ

აზერბაიჯანში 34-ე ტურის მატჩები გაიმართა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ტიტული გაინაღდა აგდამის „ყარაბაღმა", რომლის რიგებშიც **ნიკოლოზ გელაშვილი** და **ჯაბა დვალი** ირიცხებიან. გადამწყვეტ მატჩში „ყარაბაღმა" 4:1 გაანადგურა „ინტერი" და 9 ქულით გაუსწრო. ამით **კახა ცხადაძის** მოგებათა 7-მატჩიანი სერია შეწყდა. გელაშვილი სასტარტოში იყო და შესვენებისას შეცვალეს, დვალი კი განაცხადშიც არ იყო.

ცხადაძემ სასტარტოში **ლაშა სალუქვაძე** და **ბაჩანა ცხადაძე** ათამაშა. 74-ე წუთზე „ინტერის" ერთადერთი გოლი სწორედ ცხადაძემ გაიტანა. 68-ე წუთიდან ჩაება თამაშში **ალექსანდრე იაშვილი**, ხოლო **გიორგი ლომაია** სათადარიგო იყო.

**ლაშა კასრაძის** გარეშე მოთამაშე აზალ-ი შინ „ნეფთჩის" დაუზავდა - 0:0. **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგი" კი სტუმრად „რავანთან" დამარცხდა - 0:1.

კვიპროსში ქართული დუელი გაიმართა - **ლაშა მალრაძის** „ერმისმა" **შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისთან" შინ 0:2 წააგო. ორივე ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა.

ევროპალიგის საგზურისთვის დაწყებულ პლეი-ოფში ჰოლანდიური „ვიტესი" სტუმრად 0:1 დამარცხდა „გრონინგენთან". საპასუხო მატჩი 10 მაისს გაიმართება. გაგიკვირდებათ და, **ვაკო ყაზაიშვილთან** ერთად სათადარიგოთა სკამზე იჯდა კაპიტანი **გურამ კაშიაც**.

უკრაინის თასის ნახევარფინალში **თორნიკე ოქრიაშვილის** „ჩერნომორეცი" კიევის „დინამოსთან" 0:4 განადგურდა. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სავარაუდო ტრანსფერი



გია კვარაცხელია

# კვარაცხელია: ჩიხურაში გადასვლა შეცდომა იყო

## გამოცდილი მცველი ახალ გუნდს ეძებს

**გია კვარაცხელიამ** საჩხერის „ჩიხურა“ დატოვა. ეს სიახლე 34 წლის ფეხბურთელმა „ლელოს“ თავად გაუმხილა.

„სეზონის დასრულებამდე სამი ტური დარჩენილი. კონტრაქტი მაისამდე იყო გაფორმებული, დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და გუნდიდან წასვლა გადავწყვიტე. მიმაჩნია, რომ „ჩიხურაში“ წასვლა შეცდომა იყო. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა, ხალხს ფეხბურთი უყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნორმალურად ვერ ვემზადებოდი“, - ამბობს კვარაცხელია.

სად ითამაშებს ახალ სეზონში, ეს ჯერ არ იცის: „დაველოდები ჩემპიონატის დამთავრებას. თამაში მინდა და გავაგრძელებ, თუ გუნდი გამოჩნდა, რადგან ჯანი კიდევ მაქვს. ჯერ შემოთავაზებები არ მქონია, რადგან არც არავინ იცის, „ჩიხურადან“ რომ წამოვედი. თუ არაფერი გამოჩნდება, ესე იგი, ალარავის ვჭირდები და სხვა რა გზა დამრჩება, კარიერას დავასრულებ. თუმცა, იმედია, ფეხბურთში გატარებული დრო უქმად არ გამიცდენია და რომელიმე კლუბი დაინტერესდება“.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია 29 მარტს, რუსთავის „მეტალურგთან“ შეხვედრისას დაშავდა და მას მერე „ჩიხურას“ ველარ ეხმარებოდა. ცხადია, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ეს საჩხერელთათვის დიდი დანაკლისი იყო და, შესაძლოა, კვარაცხელიას არყოფნაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისი, რომ გუნდმა სამეულში პოზიცია დათმო.

შეგახსენებთ, რომ გამოცდილმა ფეხბურთელმა პროფესიული კარიერა 1995 წელს, ფოთის „კოლხეთში“ დაიწყო. მას შემდეგ კვარაცხელიამ 12 გუნდის ფორმა მოირგო - იყო თბილისის „დინამოში“, „თბილისში“, თბილისის „ლოკომოტივში“, რიგის „სკონტოში“, ქუთაისის „ტორპედოში“, „თბილისი-ოლიმპში“, „კაუნასში“, მინსკის „მტზ-რიპოში“, რუსთავის „ოლიმპში“ (შემდეგ - „მეტალურგში“), ბრესტის „დინამოში“, ცხინვალის „სპარტაკში“, 2014 წელს კი თბილისის „დინამომ“ კონტრაქტი არ გაუგრძელა და „ჩიხურაში“ გადავიდა. უთამაშია საქართველოს 19-წლამდელთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში.

**მერაბ მამულაშვილი**

● მომავალი

# ფიორენტინაში ქართველი ვარჯიშობს

27 აპრილს დასრულდა „ევროპის თასი-საქართველოს“ გათამაშება, რომლის ორგანიზატორებიც **ლევან კობიაშვილისა** და მისი მეგობრების საერთაშორისო ფონდი იყო.

ნიჭიერი ბავშვების ალმოჩენის მოტივით, ასეთ ტურნირებს სელექციონერები განსაკუთრებული ინტერესით ელიან. შეგახსენებთ, რომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ ფინალში „საბურთალომ“ პენალტების სერიაში სძლია (3:2) „დინამოს აკადემიას“ და 7-12 ივლისს ბერლინის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს.

საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი „საბურთალოს“ ნახევარმცველ **დავით ლორთქიფანიძეს** გადაეცა, რომელმაც გადამწყვეტი პენალტი დაარტყა და, საერთოდაც, ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა. ამ 13 წლის ბიჭის შესახებ საინტერესო ამბავი შევიტყვეთ.

„თბილისში იტალიელი აგენტები იყვნენ, ნახეს დათოს ვარჯიშები, თამაშები და მოეწონათ. ერთი მათგანი აქამდეც იცნობდა, რადგან დათო ადრე იტალიაში, კერძოდ, „სიენაში“ ვარჯიშობდა. გვითხრეს, რომ „ფიორენტინამ“ ის ერთკვირიან სინჯებზე მიიწვია. ამის შესახებ იტალიურმა კლუბმა „საბურთალოს“ ოფიციალურად მოსწერა და უკვე იტალიაში ვართ. ცხადია, აქ დარჩენაზე ლაპარაკი ჯერ არ არის, მაგრამ ფაქტია - დათო „ფიორენტინას“ ინტერესთა სფეროში მოხვდა და მომავალშიც დააკვირდებიან, თუ როგორ განვითარდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ცნობილი კლუბის საფეხბურთო სკოლაში 13 წლის ბავშვის სტაჟირება დიდი ამბავია“, - გვითხრა დათოს მამამ **კახა ლორთქიფანიძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ლორთქიფანიძე

● პირველი ლიგა

## XXV ტური

### A ზონა

**იმერეთი-შუქურა 0:1**

04.05. ხონი. ცენტრალური. 1000 მაყურებელი

იმერეთი: ს. მეძველია, თ. ხარებავა, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, გ. ცაგარეიშვილი (72. ჯ. კილაძე), ი. ჭანკვეტაძე, ო. ტორაძე, გ. გენძეხაძე, ო. გიორგობიანი, ნ. ჩიხლაძე (69. დ. კუხალაშვილი), გ. მანაგაძე (78. გ. ქირია).

სათადარიგოები: გ. ხვიჩია, მ. აშვეთია, ნ. ბანძავა, თ. ბაბუნაშვილი

მწვრთნელი: დავით ჭელიძე

შუქურა: თ. კაკალაძე, ი. ტაკიძე, ლ. კალანდაძე, ზ. მალანია (46. მ. ფუტკარაძე), ი. კომახიძე, რ. ლობე (76. ზ. ტულუში), მ. გოლიხინი, ლ. ჩალაძე, გ. ჩელებაძე, ნ. ჭკუასელი (80. ლ. კუტალია), მ. კოპალიანი (87. ვ. ცენტერაძე).

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ნ. მაჭავარიანი, ვ. შეროზია

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: გ. გენძეხაძე - მ. ფუტკარაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სქური-ჩხერიმელა 1:1**

04.05. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია. 300 მაყურებელი

1:0 ი. კუტალია (36), 1:1 გ. ხარაბაძე (69)

სქური: დ. კეკელიძე, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ლ. მორგოშია (83. კ. სოსელია), გ. სალია, თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ი. კუტალია.

სათადარიგოები: ბ. სვანიძე, დ. შონია, გ. კვირკვია, გ. შელია, ი. ქარდავა, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. თურმანიძე, გ. ზაქარაშვილი (62. ლ. ჩაჩიბაია), შ. ბაბუნაშვლი, გ. კიკნაძე, გ. ხარაბაძე, დ. ქარსელაძე (90. თ. კიკნაძე), დ. წულაია (81. გ. ჯიმშელეიშვილი), ს. ჭიკაიძე.

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, ი. მურადაშვილი, მ. კოპალიანი

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ლ. ბოჯგუა, გ. სართანია

გაძევება: ლ. ბოჯგუა - გ. ხარაბაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**მერცხალი-საპოვნელა 4:2**

04.05. ოზურგეთი. ცენტრალური. 450 მაყურებელი

1:0 გ. ზოიძე (3), 1:1 ბ ბარბაქაძე (7), 2:1 ნ. ხინთიბიძე (20), 3:1 ნ. ხინთიბიძე (39), 4:1 ს. გ. ჩიგოგიძე (70), 4:2 დ. არეშიძე (84, პენალტით).

მერცხალი: ა. მაქაცარია (81. ი. მურუსიძე), ზ. ხურციძე (57. ლ. ქანთარია), მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, გ. ზოიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. ქარჩილაძე (73. გ. მალაზონია), ი. ღლონტი (68. გ. ხამაშურიძე), ი. ბაჯელიძე, გ. ბერიშვილი (59. ლ. კოტრიკაძე), ნ. ხინთიბიძე.

სათადარიგოები: ლ. ათუაშვილი

მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვლი

საპოვნელა: ვ. კახეთელიძე (46. ა. გიორგაძე), დ. ჩხიკვაძე, თ. ჯიმშელეიშვილი, ა. ბუცხრიკიძე, ლ. ცხადაძე (46. ვ. ჭრელაშვილი), ვ. მურადაშვილი, ბ. ბარბაქაძე (81. დ. არეშიძე), ნ. სირაძე, ბ. ფოცხვერაშვილი, ლ. გაბრიჭიძე (81. ბ. კუხიანიძე), თ. დარსაველიძე (74. ზ. აბულაძე).

სათადარიგო: კ. ხუჯაძე

მწვრთნელი: მირიან გეწაძე

გაფრთხილება: ნ. ხინთიბიძე - თ. ჯიმშელეიშვილი, ბ. ფოცხვერაშვილი

გაძევება: ი. ბაჯელიძე - ა. ბუცხრიკიძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**კახეთი-ალგეთი 1:1**

04.05. თელავი. გივი ჩოხელი. 100 მაყურებელი

1:0 დ. ლორთქიფანიძე (72, პენალტით) 1:1 მ. კობერიძე (90+3)

კახეთი: გ. აბულაშვილი, გ. აბურჯანია, ზ.ვარდუაშვილი, ლ. მაჭარაშვილი (46. გ. ჯინიკაშვილი), თ. ვარდუაშვილი, გ. ბააკაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, გ. კვირკველია, გ. ტყეშელაშვილი, კ. მადუბუიკე, გ. ფხაკაძე (83. გ. ლომიძე).

სათადარიგოები: ა. ბერიძე, დ. მეფარიძე, ი. ხუციშვილი, გ. უჩხუკიშვილი

მწვრთნელი: როსტომ თორლაშვილი

ალგეთი: მ. ძიძიგური, გ. ყურულაშვილი (52. ი. სვანიძე), რ. უიკალიშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, მ. კობერიძე, გ. ჩიქოვანი, ბ. ლაბუჩიძე (70. ი. ჯოჯიშვილი), ზ. ტიელიძე, გ. ტვილდიანი (59. ა. ონუაკლისი).

სათადარიგოები: ე. ანიგბო, ჯ. სულაქველიძე, ლ. ეზიეშვილი, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

გაფრთხილება: გ. ჭოველიძე

გაძევება: გ. ტვილდიანი

არბიტრი: ჯ. ხორავა

**მეშახტე-კოლხეთი (ფ) 0:0**

04.05. ტყიბული. ვ. ბოჭორიშვილი. 100 მაყურებელი

მეშახტე: ლ. გორდეზიანი, ი. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, მ. ჩხარტიშვილი, მ. გოდერიძე, ა. გოდუაძე, დ. ქასრაშვილი, ბ. ჩხეტიანი, იაგო დეისაძე (83. გ. ჩუბინიძე), იაკობ დეისაძე (90. ბ. ჯიშიაშვილი), ბ. შარვაძე

სათადარიგოები: მ. ქვილითაია, ო. ჩაფიძე

მწვრთნელი: დავით რუხაძე

კოლხეთი: ლ. ძაგანია, გ. კილასონია (90. ა. სარსანია), პ. ცხვიტარია, თ. ფარულავა, ლ. კაკულია ლ. კუკავა (46. ა. ქორჩილავა), ბ. ხოშტარია (56. დ. სიჭინავა), კ. ბარამიძე, გ. ლემონჯავა (29. ლ გულუა, 70. ვ. ნემსაძე), ლ. ყიფიანი, შ. კვანტალიანი.

სათადარიგოები: ა. ნაბრია, ი. მალრაძე

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ბ. შარვაძე, იაგო დეისაძე - კ. ბარამიძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**ადელი-დინამო 2 (თბ) 1:1**

05.05. ბათუმი. ადელი. 300 მაყურებელი

1:0 ლ. კარაკულიანი (45), 1:1 ლ. თათხაშვილი (51)

ადელი: გ. შერვაშიძე, ნ. წულუკიძე, ი. ფუტკარაძე, ვ. ივანიაძე, ლ. ჯინჭარაძე (88. თ. გიორგაძე), გ. ცაბუტაშვილი, გ. ჟორდანია (46. ზ. კონცელიძე), ე. ბერიძე, ი. ლოლობერიძე (46. თ. ხაბელაშვილი), გ. ქოქოლაძე (85. ზ. მჟავანაძე), ლ. კარაკულიანი.

სათადარიგოები: დ. რუხაია, გ. თურმანიძე. ფ. მოროტიე

მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

დინამო 2 (თბ): ლ. ტყეშელაშვილი, ვ. ბაჩიაშვილი, გ. სამხარაძე, გ. ფალავანდიშვილი, ლ. თათხაშვილი, ნ. კვეკვესკირი, გ. ერისთავი, ს. ლობჟანიძე, ზ. ჯაფიაშვილი, მ. ჯიშკარიანი (75. დ. ვოლკოვი), ბ. ზივზივაძე.

სათადარიგოები: ს. გურეშიძე, ი. ციცხვაია, მ. ქაჯაია, თ. მაკასარაშვილი, ლ. შოვნაძე

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

გაფრთხილება: ნ. კვეკვესკირი, გ. სამხარაძე, ლ. ტყეშელაშვილი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 23 | 18 | 3 | 2 | 71-19 | 57 |
| კოლხეთი (ფ) | 23 | 16 | 4 | 3 | 47-12 | 52 |
| დინამო 2 (თბ) | 24 | 15 | 4 | 5 | 76-27 | 49 |
| გაგრა | 23 | 11 | 8 | 4 | 43-24 | 41 |
| საპოვნელა | 23 | 12 | 4 | 7 | 40-25 | 40 |
| ალგეთი | 23 | 9 | 4 | 10 | 34-35 | 31 |
| მეშახტე | 23 | 8 | 7 | 8 | 36-37 | 31 |
| მერცხალი | 23 | 7 | 2 | 14 | 27-50 | 23 |
| ჩხერიმელა | 23 | 6 | 5 | 12 | 28-50 | 23 |
| სქური | 23 | 6 | 3 | 14 | 24-52 | 21 |
| ადელი | 23 | 5 | 4 | 14 | 24-59 | 19 |
| კახეთი | 23 | 5 | 3 | 15 | 26-53 | 18 |
| იმერეთი | 23 | 5 | 3 | 15 | 22-55 | 18 |

**მომდევნო ტური 12.05**

გაგრა-მეშახტე
კოლხეთი-კახეთი
ალგეთი-მერცხალი
საპოვნელა-იმერეთი
შუქურა-ადელი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბუდუ ზივზივაძე | 23 |
| გიორგი ჩელებაძე | 22 |

### B ზონა

**მაჭახელა-ბეთლემი 3:1**

05.05. ხელვაჩაური. ცენტრალური. 400 მაყურებელი

1:0 მ. ჟვანია (68), 2:0 ა. ბაციკაძე (87), 3:0 მ. ჟვანია (90), 3:1 ლ. ნინიკაშვილი (90+3)

მაჭახელა: მ. ხარშილაძე, დ. ბერუაშვილი, ბ. დემურაძე (49. ა. ბაციკაძე), მ. ჟვანია, ლ. რამიშვილი (21. ზ. ანანიძე), ლ. ხოხონიშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, ა. ლაბაძე (67. ს. ცინცქილაძე), ნ. შონია, ა. ლორია (67. გ. სირაბიძე), ნ. ქორიძე (46. დ. დოლიძე).

სათადარიგო: კ. აკმელი

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

ბეთლემი: დ. ხურციძე, ლ. ნინიკაშვილი, ს. კახიძე, გ. ნათენაძე (46. ბ. ჯუგაშვილი), რ. ქობულაძე (52. გ. ქობალია), ა. ფარტენაძე, ვ. დარჩიძე, გ. კახიანი (78. ლ. სარალიძე), გ. ბრეგვაძე, ბ. კახიძე, ი. ბოლქვაძე.

სათადარიგოები: ი. ბარამიძე, ჯ. გორგაძე, მ. აბულაძე მ. ბერიძე

მწვრთნელი: ემზარ იმნაძე

გაფრთხილება: ი. ბოლქვაძე

არბიტრი: დ. სანოძე

**ბახმარო-დინამო (ბთ) 1:1**

05.05. ჩოხატაური. გ. პაიჭაძე. 200 მაყურებელი

1:0 გ. ტუხაშვილი (3), 1:1 ა. აბუსელიძე (57)

ბახმარო: გ. კუჭავა, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, გ. შათირიშვილი (61. კ. კალანდაძე), ლ. ჯანგიძე, ლ. ნაკაშიძე (63. ა. შონია), გ. გიორგაძე, დ. მამუდოვი, გ. ტუხაშვილი, ლ. მაჭავარიანი, ხ. დიდია.

სათადარიგოები: დ. ჩაჩუა, ლ. ძნელაძე, ლ. ცენტერაძე, თ. ბაზლაძე

მწვრთნელი: რამაზ უჯმაჯურიძე

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, ვ. ქორიძე (46. ა. აბუსელიძე), ბ. ტეტუნაშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, ბ. მახარაძე (46. ნ. კიკნაველიძე), გ. გოგიტიძე, ბ. ჭკუასელი (75. ბ. ვარშანიძე), ა. მუჯირი, ი. ჩირიკაშვილი, ი. სიხარულიძე.

სათადარიგოები: დ. ადეიშვილი, კ მაკარიანი, ვ. თევდორაძე, გ. თებიძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: გ. გოგიტიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**სასკო-სტუ 4:3**

05.05. თბილისი. 35-ე სკ. სტადიონი. 100 მაყურებელი

0:1 კ. კახაბრიშვილი (4), 1:1 დ. გაგნიძე (11), 2:1 გ. ზარია (36), 2:2 გ. მანწკავა (39, საკუთარ კარში), 2:3 ს. ჯოოფი (42), 3:3 გ. ზარია (49), 4:3 გ. ზარია (62)

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. მაჩაიძე (63. მ. მახათაძე), დ. გაგნიძე, დ. ქობულაძე, თ. გაფრინდაშვილი, გ. მანწკავა (50. გ. არახამია), გ. სარჯველაძე (46. გ. შენირული), გ. ქუცურუა, ა. სოფრომაძე (78. ჯ. ნოზაძე), ვ. არველაძე, გ. ზარია.

სათადარიგოები: შ. ფირუზაშვილი, ა. ნონოსი, ე. ეგიაზარიანი

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

სტუ: ნ. ჯოლოგუა, ნ. ბიწკინაშვილი, დ. ქიმერიძე, ს. მიქაუტაძე, გ. ჯიშკარიანი, ო. გაგნიძე, შ. გვაზავა (65. ა. ლაცაბიძე), გ. თვალავაძე, კ. კახაბრიშვილი (46. ვ. რობაქიძე), თ. მოგელაძე (70. ს. მალანია), ს. ჯოოფი

სათადარიგოები: დ. უდუმაშვილი, მ. გოგატიშვილი, რ. მამფორია, ვ. ყურაშვილი

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ნ. ბიწკინაშვილი

არბიტრი: შ ქუხილავა

**ჭიათურა-სამგურალი 1:4**

05.05. ჭიათურა. თ. მაღრაძე. 100 მაყურებელი

0:1 ო. ჩინჩალაძე (32), 0:2 ო. ჩინჩალაძე (34), 1:2 თ. მუმლაძე (45), 1:3 გ. თევდორაძე (79), 1:4 გ. ბუხაიძე (90)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე ნ. გაფრინდაშვილი, გ. ოქროპირიძე, ბ. შუბითიძე (46. ა. ბაბლიძე), გ. ბარბაქაძე (46. ლ. კუჭაშვილი), თ. ნადირაძე, გ. სამყურაშვილი (46. ო. კურტანიძე), დ. სევასტოპულო, თ. მუმლაძე

სათადარიგოები: გ. პაპუაშვილი, ი. ცერცვაძე, ს. ქავთარაძე

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ნ. შალამბერიძე (83. ხ. უგრეხელიძე), თ. ჯანაშია (57. ზ. სალინაძე), უ. ბანძელაძე, გ. ლობჟანიძე, ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, ა. ფანცხავა, ო. ჩინჩალაძე (88. გ. ბუხაიძე), გ. ამბროლაძე (78. თ. ბრეგვაძე), გ. თევდორაძე (85. ზ. კუხალაშვილი)

სათადარიგოები: ბ. ხაჭიპერაძე, ბ, ფანცხავა

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

გაფრთხილება: დ. სევასტოპულო, გ. ბადურაშვილი - უ. ბანძელაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**სამტრედია-საბურთალო 3:1**

05.05. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 2000 მაყურებელი

1:0 გ. მელქაძე (19), 2:0 ლ. ბაკურაძე (34, პენალტით), 2:1 მ. დიოპი (44), 3:1 თ. მოსიაშვილი (81)

სამტრედია: მ. გოგიაშვილი, ბ. გედენიძე (71. ლ. შილაკაძე), თ. შალიკაშვილი, გ. პაჭკორია, თ. კაკუშაძე, თ. კიკაბიძე (56. თ. მოსიაშვილი), გ. მელქაძე (86. ა. ბეგაშვილი), ლ. ბაკურაძე, შ. კერძევაძე, ი. პავლიაშვილი (90. ა. დვალიშვილი), ზ. ქანთარია (78. ზ. ხაჭიპერაძე).

სათადარიგოები: გ. ალავიძე, მ. მუჯრიშვილი

მწვრთნელი: გელა სანაია

საბურთალო: ბ. ქურდაძე, ი. ბეროშვილი, ჯ. ტაბიძე (76. ვ. მამუჩაშვილი), რ. კაკიაშვილი, თ. ნადარაია, გ. თვარაძე (83. რ. ბარამიძე), მ. დიოპი, გ. ხარაიშვილი, გ. ხორხელი (86. გ. წივილაშვილი), გ. ჩაბრაძე (68. ი. ბიძინაშვილი), გ. გოშთელიანი (79. თ. სტეფნიაშვილი).

სათადარიგოები: ლ. ბლიაძე, ლ. კუპატაძე

მწვრთნელი: გია ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: ი. პავლიაშვილი, შ. კერძევაძე - მ. დიოპი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**დილა 2-სულორი 0:0**

05.05. გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

დილა 2: ს. ზუროშვილი, ა. ჩაკვეტაძე, ც. ქებურია, მ. აფხაზავა, ნ. ჯიშკარიანი, ლ. ქოჩლაძე (80. ი. ბერიძე), გ. კაშია (62. გ. კვარაცხელია), ლ. შენგელია (90. ბ. მელიქიძე), კ. მელაშვილი, გ. ჯაყელი (46. გ. ბერიძე), ლ, მანაგაძე (74. ნ. გაბელია).

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

სულორი: გ. ბერძენაძე, ლ. გაბუნია, ბ. ბელქანია, ა. როხვაძე, ი. გამრეკლიძე, ს. თვალავაძე, ნ. გიორგაძე (65. მ. ნაფეტვარიძე), გ. ბრეგვაძე, გ. ნიკოლეიშვილი (46. თ. ძაგნიძე), დ. ივანიაძე, დ. კუჭუხიძე (80. გ. ხეცურიანი).

სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, გ. გენძეხაძე, ი. გიორგაძე, თ. მატარაძე

მწვრთნელი: გიორგი კუტივაძე

გაფრთხილება: ლ. შენგელია, გ. ბერიძე - ლ. გაბუნია, ს. თვალავაძე, დ. ივანიაძე

არიტრი: ა. ნონიკაშვილი

**კოლხეთი (ხ)-ლოკომოტივი 0:1**

05.05. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 მ. გავაშელიშვილი (70)

კოლხეთი: რ. ტურავა, გ. გოგენია, რ. ონიანი, ო. ფიფია, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, ვ. ფირცხელავა (86. გ. პაჭკორია), ლ. წურწუმია (60. ლ. ქაშიბაძე), გ. ლომაია, ლ. მეფიშვილი, ი. გერგაია (64. პ. გაბრავა)

სათადარიგოები: კ. გოგენია, ლ. გოგენია, ლ. ჭურლულია, თ. ღლონტი

მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი, ნ. სანდოხაძე, გ. გაბაძე, დ. უბილავა (46. ა. გუგუშვილი), ნ. ნივნივაძე, ჯ. ყანჩაშვილი (90. გ. მაკასარაშვილი), გ. ლუკავა (71. ო. პატარკაციშვილი), ე. სულთანიშვილი (55. გ. არაბიძე), მ. გავაშელიშვილი, დ. ჯიქია (46. რ. ჩიტეიშვილი).

სათადარიგოები: ო. კუსიანი, ბ. საჯაია

მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე

გაფრთხილება: ი. გერგაია, ც. ბუკია, ო. ფიფია, რ. ონიანი - ნ. ნივნივაძე, რ. ჩიტეიშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 25 | 20 | 2 | 3 | 62-24 | 62 |
| დინამო (ბთ) | 25 | 18 | 2 | 5 | 58-16 | 56 |
| მაჭახელა | 25 | 16 | 6 | 3 | 44-19 | 54 |
| სასკო | 25 | 15 | 3 | 7 | 49-29 | 48 |
| ლოკომოტივი | 25 | 14 | 2 | 9 | 66-35 | 44 |
| ჭიათურა | 25 | 12 | 4 | 9 | 43-39 | 40 |
| სამგურალი | 25 | 11 | 5 | 9 | 48-48 | 38 |
| საბურთალო | 25 | 8 | 5 | 12 | 35-34 | 29 |
| კოლხეთი (ხ) | 25 | 7 | 6 | 12 | 30-54 | 27 |
| ს.ტ.უ. | 25 | 7 | 3 | 15 | 43-61 | 24 |
| ბეთლემი | 25 | 7 | 3 | 15 | 27-47 | 24 |
| დილა 2 | 25 | 5 | 6 | 14 | 27-50 | 21 |
| ბახმარო | 25 | 4 | 8 | 13 | 32-64 | 20 |
| სულორი | 25 | 2 | 3 | 20 | 14-58 | 9 |

**ბოლო ტური**

**10 მაისი**

ლოკომოტივი-მაჭახელა

**12 მაისი**

სულორი-კოლხეთი (ხ)

**13 მაისი**

დინამო (ბთ)-ჭიათურა
სამგურალი-სასკო
სტუ-სამტრედია
საბურთალო-დილა2

**14 მაისი**

ბეთლემი-ბახმარო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გიორგი ბუხაიძე (სამგურალი) | 14 |
| ზვიად ქანთარია (სამტრედია) | 11 |
| ალექსანდრე ლაბაძე (მაჭახელა) | 11 |
| თორნიკე მუმლაძე (ჭიათურა) | 11 |

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**XXV ტური**

| | |
|---|---|
| ფორვარდი-მარკ სტარი | 1:5 |
| არაგვი-რუსთავი | 7:0 |
| ბორჯომი-დინამო (ს) | 3:0 |
| ივერიონი-დურუჯი | 3:1 |
| ივერია-გოლიადორი | (გადაიდო) |
| სასკო2-ჰერეთი/საქ. უნ. | 0:3 |
| ალაზანი-აგული | 3:0 |
| ლიახვი-იბერია | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 25 | 21 | 2 | 2 | 100-24 | 65 |
| 2. ბორჯომი | 25 | 20 | 4 | 1 | 86-22 | 64 |
| 3. ჰერეთი/საქ.უნ. | 25 | 15 | 4 | 6 | 69-42 | 49 |
| 4. ლიახვი | 25 | 14 | 6 | 5 | 58-32 | 48 |
| 5. ივერია | 24 | 13 | 3 | 8 | 59-44 | 42 |
| 6. არაგვი | 25 | 11 | 8 | 6 | 68-40 | 41 |
| 7. ივერიონი | 25 | 11 | 5 | 9 | 50-46 | 38 |
| 8. აგული | 25 | 11 | 3 | 11 | 39-52 | 36 |
| 9. დურუჯი | 25 | 10 | 2 | 13 | 44-48 | 32 |
| 10. ალაზანი | 24 | 9 | 4 | 11 | 40-50 | 31 |
| 11. რუსთავი | 25 | 9 | 3 | 13 | 57-86 | 30 |
| 12. გოლიადორი | 22 | 8 | 1 | 13 | 46-54 | 25 |
| 13. ფორვარდი | 24 | 5 | 3 | 16 | 34-69 | 18 |
| 14. დინამო (ს) | 25 | 5 | 1 | 19 | 22-67 | 16 |
| 15. იბერია | 25 | 5 | 1 | 19 | 33-83 | 16 |
| 16. სასკო2 | 25 | 3 | 2 | 20 | 24-76 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილია 2014

# ბრაზილია საბოლოო, არგენტინა სავარაუდო



კონფედერაციათა თასის მოგების შემდეგ, ნეიმარი და ფრედი მუნდიალის მოგებას ეცდებიან

**ბოლო** დღეებში, რამდენიმე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სამუნდიალე განაცხადი გამოაქვეყნა. საბოლოოდ, 23-კაციანი სია მხოლოდ ჰონდურასის და ბრაზილიის ნაკრების დამრიგებლებმა შემოგვთავაზეს, რამდენიმე სხვა გუნდის მწვრთნელმა (F ჯგუფის გუნდების) კი წინასწარი სია ჩამოწერა...

## ნიგერია

ნიგერიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სტივენ კეშიმ** 30-კაციანი წინასწარი შემადგენლობა დაასახელა, საიდანაც ის იმ 23 ფეხბურთელს ამოარჩევს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ისასპარეზებენ. მოულოდნელად, შემადგენლობაში ვერ მოხვდა „ვილიარეალის" ფორვარდი **იკეჩუკვუ უჩე**, რომელიც ძალიან კარგ სეზონს ატარებს. ასევე, სიაში არ არიან „ჰალის" ნახევარმცველი **სონე ალუკო** და კიევის „დინამოს" თავდამსხმელი **ბრაუნ იდეიე**.

შეგახსენებთ, რომ ნიგერია მუნდიალზე F ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები არგენტინა, ბოსნია და ირანი იქნებიან.

**მეკარეები:** **ვინსენტ ენიეამა** (ლილი), **ოსტინ ეჯიდე** (ჰაპოელ ბეერშავა), **ჩიგოზიე აგბიმი** (გომბე იუნაიტედი), **დენიელ აკპეი** (ვარი ვულვზი)

**მცველები:** **ელდერსონ ეჩიეჯილე** (მონაკო), **ჯოზეფ იობო** (ნორვიჩი), **ეფე ემბროუზი** (სელტიკი), **გოდფრი ობოაბონა** (რიზესფორი), **აზუბუიკე ეგვუეკვე** (ვარი ვულვზი), **კენეტ ომერუო** (მიდლსბრო), **ჯუვონ ოშანივა** (აშდოდი), **კუნლე ოდუნლამი** (სანშაინ სტარსი)

**ნახევარმცველები:** **ჯონ ობი მიკელი** (ჩელსი), **აჰმედ მუსა** (ცსკა), **ეჯიკე უზოენი** (ენუგუ რეინჯერსი), **ოგენი ონაზი** (ლაციო), **ვიქტორ მოზესი** (ლივერპული), **სანდეი მბა** (სერკლ ბასტია), **ნამდი ოდუამადი** (ბრეშია), **ნოსა იგიებორი** (ბეტისი), **რეუბენ გაბრიელი** (ბევერენი), **ჯოელ ობი** (პარმა), **რამონ აზიზი** (ალმერია)

**თავდამსხმელები:** **პეტერ ოდემვინგე** (სტოკი), **ვიქტორ ობინა** (კიევო), **ემანუელ ემენიკე** (ფენერბაჰჩე), **შოლა ამეობი** (ნიუკასლი), **უჩე ნვოფორი** (ჰეერენვეენი), **მაიკლ უჩებო** (სერკლ ბრიუგე), მიშელ ბაბატუნდე (ვოლინი)

## ბოსნია

ამავე ჯგუფის კიდევ ერთი წევრის, ბოსნიის ნაკრების დამრიგებელმა **საფეტ სუშიჩმა** 24-კაციანი სია წარმოადგინა. აქედან, მუნდიალზე მხოლოდ ერთი უილბლო ვერ ითამაშებს.

სიაში ვერ ვხვდებით მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელ **ელვირ რაჰიმიჩს**, სამაგიეროდ, აქ არის ახალგაზრდა **ტინო-სვენ სუშიჩი**, რომელიც მთავარი მწვრთნელის ძმიშვილი გახლავთ.

**მეკარეები:** **ასმირ ავდუკიჩი** (ბორაცი), **ასმირ ბეგოვიჩი** (სტოკი), **იასმინ ფეზიჩი** (აალენი)

**მცველები:** **ერმინ ბიჩაკჩიჩი** (ბრაუნშვაიგი), **სეად კოლაშინაცი** (შალკე), **მენსურ მუიჯა** (ფრაიბურგი), **ემირ სპაჰიჩი** (ბაიერი), **ტონი შუნიჩი** (ზორია), **ოგნიენ ვრანიეში** (ელაზიგსფორი), **ავდია ვრშაეიევიჩი** (ჰაიდუკი), **ერვინ ზუკანოვიჩი** (გენტი)

**ნახევარმცველები:** **მუჰამედ ბეშიჩი** (ფერენცვაროში), **ანელ ჰაჯიჩი** (შტურმი), **იზეტ ჰაიროვიჩი** (გალათასარაი), **სენიად იბრიჩიჩი** (კაისერი), **სენად ლულიჩი** (ლაციო), **ჰარის მედუნიანინი** (გაზიანთეფსფორი), **ზვიეზდან მისიმოვიჩი** (გიჯუ რენე), **მირალემ პიანიჩი** (რომა), **სეიად სალიჰოვიჩი** (ჰოფენჰაიმი), **ტინო-სვენ სუშიჩი** (ჰაიდუკი)

**თავდამსხმელები:** **ედინ ვიშჩა** (ისტანბული), **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი), **ვედად იბიშევიჩი** (შტუტგარტი)

## ირანი

28 ფეხბურთელის გვარი ჩამოწერა ირანის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლოს კეიროშმა**. ყველა მოთამაშეს ახლა არ ჩამოგითვლით, უბრალოდ გეტყვით, რომ ირანის ნაკრების ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები - მეკარე **დანიელ დავარი** (აინტრახტი), ნახევარმცველები **აშკან დეჟაგა** (ფულჰემი), **ჯავად ნექუნამი** (ალ კუვეიტი), **მასუდ შოჯაეი** (ლას პალმასი), **ანდრანიკ თეიმურიანი** (ესტეღლალი) და ფორვარდი **რეზა გოჩანეჯადი** (ჩარლტონი) ამ სიაში არიან.

## ჰონდურასი

ჰონდურასის ნაკრების მთავარმა მწვრთელმა **ლუის ფერნანდო სუარესმა** ორი დღის წინ საბოლოო, 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. შეგახსენებთ, რომ კონკაკაფის ზონის მესამეადგილოსანი E ჯგუფში ისასპარეზებს, სადაც მისი მეტოქეები საფრანგეთი, ეკვადორი და შვეიცარია იქნებიან.

**მეკარეები:** **ნოელ ვალიადარესი** (ოლიმპია), **დონის ესკობერი** (ოლიმპია), **ლუის ლოპეს ფერნანდესი** (რეალ ესპანია)

**მცველები:** **მეინორ ფიგეროა** (ჰალი), **ვიქტორ ბერნარდესი** (სან ხოსე), **ემილიო ისაგირე** (სელტიკი), **ოსმან ჩავესი** (ქინგდაო, ჩინეთი), **ხუან კარლოს გარსია** (უიგანი), **ბრაიან ბეკელსი** (ოლიმპია), **ხუან პაბლო მონტესი** (მოტაგუა)

**ნახევარმცველები:** **არნოლდ პერალტა** (რეინჯერსი, შოტ.), **უილსონ პალასიოსი** (სტოკი), **ოსკარ გარსია** (ჰიუსტონი), **ხორხე კლაროსი** (მოტაგუა), **მარვინ ჩავესი** (კოლორადო), **როხერ ესპინოსა** (უიგანი), **მარიო მარტინესი** (რეალ ესპანია), **ლუის გარიდო** (ოლიმპია), **ენდი ნახარი** (ანდერლეხტი)

**თავდამსხმელები:** **კარლო კოსტლი** (რეალ ესპანია), **ჯერი ბენგტსონი** (ნიუ ინგლენდი), **ჯერი პალასიოსი** (ალახუელენსე), **რონი მარტინესი** (რეალ სოსიედადი, ჰონდ.)

## არგენტინა

**ალეხანდრო საბელიას** ჯერ წინასწარი შემადგენლობაც კი არ დაუსახელებია, მაგრამ არგენტინელი ჟურნალისტები აცხადებენ, რომ 23-დან 20 ფეხბურთელის ვინაობა მათთვის ცნობილია. საქმე იმაშია, რომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ, ერთ-ერთ კომპანიას გაუგზავნა ფეხბურთელების და სამწვრთნელო შტაბის წევრების ზომები (Small, Medium, Large), რათა ამ კომპანიამ მოთამაშეებისთვის და მწვრთნელებისთვის კოსტუმები შეკეროს.

ფოტოზე 22 ფეხბურთელის სახელი და გვარია, აქედან ორის, **ნიკოლას ოტამენდის** და **რიკი ალვარესის** ზომები მითითებული არაა, ხოლო **აუგუსტო ფერნანდესის** მონაცემები, რომელიც სიაში 23-ეა, ფოტოზე არ ჩანს, მაგრამ ჟურნალისტების სიტყვებით, სიაში ისიც იყო. ამ დოკუმენტის საფუძველზე, პრესის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ მუნდიალზე იმ 20 ფეხბურთელის გამგზავრება, რომელთა გასწვრივაც ზომებია მითითებული, უკვე გადაწყვეტილია.

მეორეს მხრივ, ამბობენ, რომ კომპანია „Etiqueta Negra-მ", რომელიც არგენტინის ნაკრების ჩაცმულობაზე იქნება პასუხისმგებელი, ფეხბურთის ფედერაციას, დროის მოგების მიზნით, იმ ფეხბურთელების მონაცემები სთხოვა, რომლებსაც ნაკრებში ბოლო დროს ხშირად იძახებდნენ.

ასეა თუ ისე, შესაძლოა ეს სია საბოლოო არც იყოს, მაგრამ გულშემატკივრებს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ დაახლოებით როგორი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების განაცხადი.

**მეკარეები:** **სერხიო რომერო** (მონაკო), **მარიანო ანდუხარი** (კატანია), **აგუსტინ ორიონი** (ბოკა ხუნიორსი)

**მცველები:** **ესეკილ გარაი** (ბენფიკა), **ფედერიკო ფერნანდესი** (ნაპოლი), **პაბლო საბალეტა** (მანჩესტერ სიტი), **მარკოს როხო** (სპორტინგი), **ხოსე ბასანტა** (მონტერეი), **უგო კამპანიარო** (ინტერი), **ნიკოლას ოტამენდი** (ატლეტიკო მინეირო, ზომა მითითებული არ იყო)

**ნახევარმცველები:** **ფერნანდო გაგო** (ბოკა ხუნიორსი), **ლუკას ბილია** (ლაციო), **ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა), **ევერ ბანეგა** (ნიუელს ოლდ ბოისი), **ანხელ დი მარია** (რეალი), **მაქსი როდრიგესი** (ნიუელს ოლდ ბოისი), **რიკი ალვარესი** (ინტერი, ზომა მითითებული არ იყო), **აუგუსტო ფერნანდესი** (სელტა, სიაშია, მაგრამ ფოტოზე არ ჩანს)

**თავდამსხმელები:** **სერხიო აგუერო** (მანჩესტერ სიტი), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **გონსალო იგუაინი** (რეალი), **ესეკილ ლავეცი** (პარი სენ ჟერმენი), **როდრიგო პალასიო** (ინტერი).

## ბრაზილია

გუშინდელი დღის ყველაზე საინტერესო მოვლენა ბრაზილიის ნაკრების სამუნდიალო შემადგენლობის გამოცხადება იყო. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ**, ცოტა ხნის წინ, ის 9 ფეხბურთელი დაასახელა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა, გუშინ კი „ფელიპაომ" საბოლოო განაცხადიც გამოაქვეყნა.

დიდ მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია - განაცხადში ის მოთამაშეები მოხვდნენ, ვისაც სკოლარი ყველაზე მეტად ენდობოდა. ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით ყველაზე გამოუცდელი **ენრიკე** გახლავთ, რომელსაც „სელესაოს" ფორმა სულ 4-ჯერ აქვს მორგებული, მაგრამ „პალმეირასის" ყოფილ კაპიტანს სკოლარი სწორედ ამ კლუბიდან იცნობს, სადაც ის ნაკრებამდე მუშაობდა.

ყველაზე დიდი არჩევანი მარცხენა მცველის პოზიციაზე იყო - ოთხი მაღალი დონის მცველიდან, საბოლოო სიაში **მარსელო** და **მაქსველი** მოხვდნენ, **ფილიპე ლუიში** და **ადრიანო კორეია** კი, თუ ვინმემ ტრავმა არ მიიღო, მუნდიალის მატჩებს თვალს გულშემატკივრების რანგში მიადევნებენ.

ასევე, აღსანიშნავია **ლუკას მოურას**, **ლუკას ლეივას** და **რობინიოს** განაცხადს მიღმა დატოვება. **რონალდინიოს** და **კაკას** შესახებ კი ისედაც ყველაფერი ცნობილი იყო. გუშინ კი გავრცელდა ჭორი, თითქოს „რონი" განაცხადში მოხვდებოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა.

საბოლოო სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** **ჟეფერსონი** (ბოტაფოგო), **ჟულიო სეზარი** (ტორონტო), **ვიქტორი** (ატლეტიკო მინეირო)

**მცველები:** **დანი ალვეში** (ბარსელონა), **მაიკონი** (რომა), **დანტე** (ბაიერნი), **დავიდ ლუისი** (ჩელსი), **ენრიკე** (ნაპოლი), **ტიაგო სილვა** (პარი სენ ჟერმენი), **მარსელო** (რეალი), **მაქსველი** (პარი სენ ჟერმენი)

**ნახევარმცველები:** **ფერნანდინიო** (მანჩესტერ სიტი), **ლუის გუსტავო** (ვოლფსბურგი), **პაულინიო** (ტოტენჰემი), **რამირესი** (ჩელსი), **ერნანესი** (ინტერი), **ვილიანი** (ჩელსი), **ოსკარი** (ჩელსი)

**თავდამსხმელები:** **ბერნარდი** (შახტარი), **ფრედი** (ფლუმინენსე), **ჰალკი** (ზენიტი), **ჟო** (ატლეტიკო მინეირო), **ნეიმარი** (ბარსელონა).

ტატო ბაციკაძე

იუვენტუსი

## ვიდალის თვე

**არტურო ვიდალს** რომ მუხლი აწუხებდა დიდი ხანია, გავიგეთ და ჩილელი ბოლო დროს ამის გამო არც ისე კარგად გამოიყურებოდა. კულუარებში კი ამბობდნენ - მუხლზე ოპერაცია სჭირდებაო, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დასტურდებოდა. ახლა კი ირკვევა, რომ „მეფე არტურომ" უკვე გაიკეთა ოპერაცია და დაახლოებით 30 დღე იუქმებს. ვიდალმა იცადა, იცადა და მას მერე, რაც „იუვენტუსი" ევროპალიგის ნახევარფინალიდან გავარდა და სერია A-შიც ყველაფერი გადაწყდა, სასწრაფოდ ექიმებს მიმართა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომჯობინება მოასწროს. მედიკოსების ვარაუდით, იგი მუნდიალის დაწყებამდე ფეხზე უნდა დადგეს. სხვა საქმეა, როგორ ფორმაში იქნება 26 წლის ნახევარმცველი. ვიდალმა ოპერაცია ბარსელონაში გაიკეთა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა მას სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამა ელოდება.

გიორგი პაპაბაძე

## ესპანეთი. ლა ლიგა

### ვალიადოლიდი–რეალი 1:1

**გოლები:** 0:1 სერხიო რამოსი (35), 1:1 ოსორიო (85)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, მარკ ვალიენტე, ს. მიტროვიჩი, პენია - ა. რუბიო, ვიქტორ პერესი (82. ბარახა) - ხეფრენი (73. ოსორიო), ოსკარი (64. დ. ლარსონი), ბერგდიხი - ხავი გერა

**რეალი (4-3-3):** დიეგო ლოპესი - ნაჩო, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - მოდრიჩი, ჩაბი ალონსო, ისკო (73. ილიარამენდი) - დი მარია, ბენზემა (77. მარსელო), კ. რონალდო (9. მორატა)

**გაფრთხილება:** ბერგდიხი, ს. მიტროვიჩი, ბარახა - ისკო, მორატა, ილიარამენდი, პეპე

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 17-7; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 6-19 (1-3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 22 013

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 36 | 28 | 4 | 4 | 75-24 | 88 |
| 2. ბარსელონა | 36 | 27 | 4 | 5 | 99-32 | 85 |
| 3. რეალი | 36 | 26 | 6 | 4 | 101-35 | 84 |
| 4. ბილბაო | 36 | 20 | 8 | 8 | 65-38 | 68 |
| 5. სევილია | 36 | 17 | 9 | 10 | 66-50 | 60 |
| 6. სოსიედადი | 36 | 16 | 10 | 10 | 60-52 | 58 |
| 7. ვილიარეალი | 36 | 15 | 8 | 13 | 54-43 | 53 |
| 8. სელტა | 36 | 13 | 7 | 16 | 46-52 | 46 |
| 9. ვალენსია | 36 | 12 | 10 | 14 | 49-50 | 46 |
| 10. ლევანტე | 36 | 11 | 12 | 13 | 33-42 | 45 |
| 11. ვალეკანო | 36 | 13 | 4 | 19 | 45-74 | 43 |
| 12. ესპანიოლი | 36 | 11 | 8 | 17 | 39-47 | 41 |
| 13. მალაგა | 36 | 11 | 8 | 17 | 37-45 | 41 |
| 14. ელჩე | 36 | 9 | 12 | 15 | 29-47 | 39 |
| 15. გრანადა | 36 | 11 | 5 | 20 | 31-54 | 38 |
| 16. ვალიადოლიდი | 36 | 7 | 15 | 14 | 35-55 | 36 |
| 17. ალმერია | 36 | 10 | 6 | 20 | 41-71 | 36 |
| 18. ხეტაფე | 36 | 9 | 9 | 18 | 32-53 | 36 |
| 19. ოსასუნა | 36 | 9 | 8 | 19 | 29-60 | 35 |
| 20. ბეტისი | 36 | 5 | 7 | 24 | 31-73 | 22 |

## ინგლისი. პრემიერლიგა

### სიტი–ასტონ ვილა 4:0

**გოლები:** 1:0 ჯეკო (64), 2:0 ჯეკო (72), 3:0 იოვეტიჩი (89), 4:0 ი. ტურე (90+3)

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კოლაროვი - ი. ტურე, ხ. გარსია - ნასრი, დ. სილვა (72. ფერნანდინიო), მილნერი (60. იოვეტიჩი) - ჯეკო (86. ნეგრედო)

**ასტონ ვილა (4-4-2):** გუზანი - ლოუტონი, ბეიკერი, ვლაარი, კლარკი (79. რობინსონი) - ელ აჰმადი, ვესტვუდი, დელფი, ბერტრანი (88. გრელიში) - ვაიმანი, ბოუერი (59. ბაკუნა)

**გაფრთხილება:** იოვეტიჩი - დელფი, კლარკი

**კარში დარტყმა:** 18-5 (9-0) **კუთხური:** 7-2 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 8-9 **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 47 028

### სანდერლენდი–ვესტ ბრომვიჩი 2:0

**გოლები:** 1:0 კოლბეკი (13), 2:0 ბორინი (31)

**სანდერლენდი (4-4-2):** მანონე - ვერხინი, ოში, ბრაუნი, ალონსო - კოლბეკი, კატერმოული (88. ჯაკერინი), ლარსონი, ა. ჯონსონი (61. ბრიდკატი) – უიკჰემი (61. ალტიდორი), ბორინი

**ვესტ ბრომვიჩი (4-4-2):** ფოსტერი - რიდი (46. კ. დოუსონი), მაკოლი, ლუგანო, ბრანტი - იაკობი (46. მულუმბუ), მორისონი, სესინიონი, დორანსი - ბერაინო (78. ვიდრა), ანიჩებე

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 10-13 (4-3) **კუთხური:** 5-0 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 14-12 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 45 181

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 37 | 26 | 5 | 6 | 99-37 | 83 |
| 2. ლივერპული | 37 | 25 | 6 | 6 | 99-49 | 81 |
| 3. ჩელსი | 37 | 24 | 7 | 6 | 69-26 | 79 |
| 4. არსენალი | 37 | 23 | 7 | 7 | 66-41 | 76 |
| 5. ევერტონი | 37 | 20 | 9 | 8 | 59-39 | 69 |
| 6. ტოტენჰემი | 37 | 20 | 6 | 11 | 52-51 | 66 |
| 7. იუნაიტედი | 37 | 19 | 6 | 12 | 63-42 | 63 |
| 8. საუთჰემპტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 53-45 | 55 |
| 9. ნიუკასლი | 37 | 15 | 4 | 18 | 42-57 | 49 |
| 10. სტოკი | 37 | 12 | 11 | 14 | 43-51 | 47 |
| 11. პალასი | 37 | 13 | 5 | 19 | 31-46 | 44 |
| 12. ვესტ ჰემი | 37 | 11 | 7 | 19 | 40-49 | 40 |
| 13. სუონსი | 37 | 10 | 9 | 18 | 51-53 | 39 |
| 14. სანდერლენდი | 37 | 10 | 8 | 19 | 40-57 | 38 |
| 15. ასტონ ვილა | 37 | 10 | 8 | 19 | 39-58 | 38 |
| 16. ჰალი | 37 | 10 | 7 | 20 | 38-51 | 37 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 37 | 7 | 15 | 15 | 42-57 | 36 |
| 18. ნორვიჩი | 37 | 8 | 9 | 20 | 28-60 | 33 |
| 19. ფულჰემი | 37 | 9 | 4 | 24 | 38-83 | 31 |
| 20. კარდიფი | 37 | 7 | 9 | 21 | 31-72 | 30 |

## საფრანგეთი. ლიგა 1

### მონაკო–გენგამი 1:1

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (77), 1:1 ათიქი (85)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - ეჩიეჯილე, აბდენური, რ. კარვალიო, რაჯი - მოუტინიო, ტულალანი (90+1. ჟერმენი), კონდოგბია - ჯ. როდრიგესი (75. დირარი), რივიერი, ბერბატოვი (83. ოკამპოსი)

**გაძევება:** დიალო (88. გენგამი)

### პსჟ–რენი 1:2

**გოლები:** 1:0 ლავეცი (3), 1:1 კადირი (23), 1:2 ნტეპი (27)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ჟალე (28. მარკინიოსი), ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - კაბაი, ტიაგო მოტა (57. ლუკასი), მატუიდი - პასტორე, ლავეცი (57. იბრაჰიმოვიჩი), კავანი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 36 | 25 | 8 | 3 | 77-22 | 83 |
| 2. მონაკო | 36 | 22 | 10 | 4 | 60-29 | 76 |
| 3. ლილი | 36 | 19 | 11 | 6 | 41-22 | 68 |
| 4. სტ. ეტიენი | 36 | 18 | 9 | 9 | 50-32 | 63 |
| 5. ლიონი | 36 | 16 | 10 | 10 | 55-43 | 58 |
| 6. მარსელი | 36 | 15 | 11 | 10 | 51-39 | 56 |
| 7. ბორდო | 36 | 13 | 12 | 11 | 47-41 | 51 |
| 8. რეიმსი | 36 | 12 | 12 | 12 | 42-47 | 48 |
| 9. ლორიანი | 36 | 12 | 10 | 14 | 46-49 | 46 |
| 10. ტულუზი | 36 | 11 | 13 | 12 | 43-50 | 46 |
| 11. ნანტი | 36 | 12 | 9 | 15 | 37-40 | 45 |
| 12. ბასტია | 36 | 12 | 9 | 15 | 40-56 | 45 |
| 13. რენი | 36 | 10 | 13 | 13 | 43-42 | 43 |
| 14. მონპელიე | 36 | 8 | 18 | 10 | 45-47 | 42 |
| 15. ნიცა | 36 | 12 | 6 | 18 | 30-41 | 42 |
| 16. გენგამი | 36 | 10 | 9 | 17 | 32-41 | 39 |
| 17. ევიანი | 36 | 9 | 11 | 16 | 34-51 | 38 |
| 18. სოშო | 36 | 9 | 10 | 17 | 35-57 | 37 |
| 19. ვალანსიენი | 36 | 7 | 8 | 21 | 35-60 | 29 |
| 20. აიაჩო | 36 | 3 | 11 | 22 | 34-68 | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ოლდ ტრეფორდს ფეხბურთელი გიგზი დაემშვიდობა, მწვრთნელი გიგზიც?

**სამშაბათს** საღამოს „ოლდ ტრეფორდზე" რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ის, რომ „ეშმაკებმა" 3 ქულა აიღეს, მეორეხარისხოვანია, რადგან წმინდა სატურნირო თვალსაზრისით ის არაფერს წყვეტდა. თუმცა ვნახეთ ის, რასაც დიდხანს ველოდით: რაიან გიგზმა „იუნაიტედში" გატარებული 23 წლისა და 2 თვის თავზე, 1000-ზე მეტი შეხვედრის ჩატარების შემდეგ მშობლიურ არენაზე უკანასკნელად გააგორა ბურთი. უელსელმა 40 წლისამ აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. გიგზმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და უკანასკნელი სამსახური გაუწია გუნდს - 86-ე წუთზე რობინ ვან პერსის გაატანინა, კომპენსირებულ დროში კი სულ ცოტა დააკლდა, რომ ბრწყინვალე კარიერისთვის ულამაზესი საჯარიმოთი დაესვა წერტილი. სტუმართა მეკარე ელდინ იაკუპოვიჩს მანკუნიანელთა სენტიმენტებისთვის არ ეცალა. ის საკუთარ საქმეს აკეთებდა. შვეიცარიელმა საფინალო სასტვენის შემდეგ გიგზთან მეტოქეთაგან ერთ-ერთმა პირველმა მიირბინა და ხელი ჩამოართვა.

## უილსონი წავიდა, უილსონი მოვიდა

ეს არ იყო მხოლოდ გიგზთან გამოთხოვების საღამო. „ოლდ ტრეფორდზე" გულშემატკივარმა უკანასკნელად იხილა **ნემანია ვიდიჩიც**. სერბმა „იუნაიტედში" 9 წელი გაატარა და იტალიაში სათამაშოდ გადასვლის შესახებ ორიოდე კვირის წინ განაცხადა. სამაგიეროდ, ტრიბუნებმა პირველად დაუკრა მქუხარე ტაში 18 წლის **ჯეიმს უილსონს**. ის მხოლოდ მეორე ფეხბურთელია მანჩესტერელთა ისტორიაში, ვინც სადებიუტო შეხვედრაშივე დუბლი მიითვალა. აქამდე ეს მხოლოდ **რუუდ ვან ნისტელროის** მოეხერხებინა. დებიუტანტი ჰოლანდიელი თავის დროზე 25 წლის გახლდათ და მას ჩემპიონთა ლიგასა და ნაკრებში თამაშის გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. ესეც რომ არა, ვან ნისტელროი ორჯერ იყო აღიარებული ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად. ასე რომ, უილსონის გმირობა უფრო დასაფასებელია. სხვათა შორის ჯეიმსი და რაიანი სინამდვილეში



რაიან გიგზი

მოგვარეები არიან, რადგან რაიანი ბავშვობაში გვარად უილსონი იყო, სანამ უელსელი დედის (მამა ინგლისელი ჰყავდა) გვარზე არ გადავიდა.

## მანჩესტერი დაბრუნდება

საფინალო სასტვენის შემდეგ გიგზმა ტრიბუნებს სამადლობელი სიტყვით მიმართა:

„*მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა თანაგუნდელებსა და კლუბის პერსონალს მხარდაჭერისთვის. „იუნაიტედის" სახელით კი პერსონალურ მადლობას ვეუბნები ნემანია ვიდიჩს, რადგან ის სეზონის დასრულების შემდეგ გვტოვებს. მინდა, მას ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო კარიერის დარჩენილ წლებში. ყველამ ვიცით, რომ მიმდინარე სეზონში საუკეთესო დროება არ გვქონია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რასაც ბოლო წლებში ვიყავით შეჩვეულნი. მიუხედავად წარუმატებლობებისა, თქვენგან მხარდაჭერა არ მოგვკლებია, რისთვისაც მადლიერების მეტი არაფერი დაგვრჩენია. დარწმუნებული ვარ, უახლოეს წლებში „ოლდ ტრეფორდზე" წარმატებები ისევ დაბრუნდება. მინდა გთხოვოთ, არ შეწყვიტოთ მხარდაჭერა და გწამდეთ ჩვენი მომავლის. „მანჩესტერ იუნაიტედი" ადგილზე არასოდეს მდგარა. ის ყოველთვის აძლევდა შანსს ახალგაზრდებს და ყოველთვის ცდილობდა მიმზიდველი ფეხბურთის თამაშს. ხდებოდა, როცა ვერაფერს ვიგებდით, მაგრამ თავი არასოდეს დაგვიზოგავს. მომავალშიც დაგვიდექით გვერდში და სახელოვანი დრო ჩვენთან ისევ დაბრუნდება*".

მატჩის შემდგომ ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა კომენტარისთვის ნემანია ვიდიჩსაც მიაკითხეს. აი, რა თქვა 32 წლის სერბმა:

„*ჩემთვის ძალიან რთულია „იუნაიტედთან" გამოთხოვება, უფრო მეტად იმიტომ, რომ მიმდინარე სეზონი ჩვენთვის ყველაზე წარუმატებელია უკანასკნელ წლებში. ჩემთვის ძალიან ემოციური მომენტია. ეს არის დღე, როცა „ოლდ ტრეფორდს" გამოვეთხოვე. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ჩემი გული სამუდამოდ დარჩება „იუნაიტედში", რადგან აქ გავატარე კარიერის ყველაზე წარმატებული წლები, მოვიგე უამრავი ტიტული და მთელი ეს პერიოდი საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით ვაკეთე ჩემი საქმე. ფიქრებით ყოველთვის აქ ვიქნები და გუნდს გვერდში დავუდგები. მინდა, წრფელი გულით ნათქვამი მადლობა გადმოგცეთ. გულშემატკივრები პირველივე დღიდან მიჭერდნენ მხარს. ჩემთვის დიდი პატივი იყო მათთვის სამსახური. ასევე უნდა აღვნიშნო თანაგუნდელების, პერსონალისა და მწვრთნელების დამსახურება. განსაკუთრებით სერ ალექს ფერგიუსონის.*

*გიგზმა გამოსათხოვარ მატჩში ჯეიმს უილსონის გარდა ძირითადში დააყენა 20 წლის უელსელი ნახევარმცველი ტომას ლოურენსიც, თუმცა თამაშის დასრულების შემდეგ მთელი ყურადღება პირველს ხვდა წილად. მიზეზებზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ*". მოდი, მატჩის ნამდვილ გმირს მოვუსმინოთ:

„*საოცარი გრძნობა იყო, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არასოდეს განმიცდია. პირველი გოლის შემდეგ ნამდვილ ეიფორიაში ვიყავი. სტადიონი სულ სხვაგვარად გამოიყურება, როცა მასზე 75 ათასი ადამიანი ზის, მაგრამ მათი ყოფნა გაძლიერებს და გამოცდილებას გმატებს. ვგრძნობ, რომ უკვე შემიძლია პრემიერლიგის ფიზიკური დატვირთვებისა და ტემპის გაძლება. ისღა დამრჩენია, რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკისთვის ვიბრძოლო, რათა გამოცდილება სწრაფად დავაგროვო. თუკი „იუნაიტედის" დონის გუნდში დამკვიდრება მინდა, მუდმივი პროგრესი მმართებს. ნამდვილად არ ვაპირებ ძირითად გუნდში ერთი ჩატარებული თამაშით ტკბობას*".

## და ცუდი ამბავიც

დაბოლოს, მატჩის 22-ე წუთზე ტრავმირებული **ფილ ჯონსის** ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ არ გარკვეულა. 22 წლის მცველმა მხრის ტრავმა მიიღო. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის ბოლო ტურში „საუთჰემპტონთან" ვერ ითამაშებს. „წმინდანებთან" ასპარეზობას ვინ დაეძებს, მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამგზავრება არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.




ლივერპული



ბრენდან როჯერსმა ხელმძღვანელობის ნდობა ალალად დაიმსახურა

# როჯერსის დამსახურებული კონტრაქტი

„გარდიანის" ცნობით, „ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი სეზონის დასრულებისთანავე გაიმართება, იქამდე კი მხარეები უკანასკნელ დეტალებს შეათანხმებენ. 41 წლის ჩრდილოირლანდიელი გუნდს 2012 წლის ზაფხულიდან უდგას სათავეში. თავის დროზე მან ხელშეკრულება 3+1 სისტემით გააფორმა.

მეორე ინგლისური გამოცემა „მირორი" კი მერსისაიდელთა სატრანსფერო გეგმებს მიმოიხილავს და აღნიშნავს, რომ ახალი ფეხბურთელების გადასაბირებლად როჯერსს 60 მილიონი ფუნტი ექნება. ჯერ იმათზე ვთქვათ, ვისით დაინტერესებასაც „ლივერპულს" მიაწერენ.

მცველები: **კირიაკოს პაპადოპულოსი** (22 წლის, საბერძნეთი, შალკე, კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდე), ვინც 2013/14 წლების სეზონი თითქმის მთლიანად გამოტოვა ტრავმის გამო და ვარჯიშს უახლოეს ხანებში შეუდგება; **სტივენ კოლკერი** (22, ინგლისი, კარდიფი, 2017), ვისთან ერთადაც როჯერსს „სუონსიში" უმუშავია; ნახევარმცველები: **ევგენ კონოპლიანკა** (24, უკრაინა, დნიპრო, 2015), მის ყიდვას „ლივერპული" იანვარშიც ცდილობდა, თუმცა გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა; **ჰენრიხ მხითარიანი** (25, სასომხეთი, დორტმუნდი, 2017); **დანი პარეხო** (25, ესპანეთი, ვალენსია, 2016); თავდამსხმელები: **ლაზარ მარკოვიჩი** (20, სერბეთი, ბენფიკა, 2018); **იოსიპ დრმიჩი** (21, შვეიცარია, ნიურნბერგი, 2017); ამას გარდა საიჯარო ხელშეკრულებების დასრულების შემდეგ გუნდს დაუბრუნდებიან ცენტრალური მცველი **ტიაგუ ილორი** (21, გრანადა, პორტუგალია) და თავდამსხმელი **ფაბიო ბორინი** (23, იტალია, სანდერლენდი).

რაც შეეხება წამსვლელებს: გადაწყვეტილია, რომ იჯარის ამოწურვის შემდეგ „ენფილდს" დატოვებს 26 წლის ფრანგი **ალი სისოკო** (ვალენსია). შესაძლოა, ასევე ტრანსფერზე დადგნენ ცენტრალური მცველები, 29 წლის დანიელი **დანიელ აგერი** და 23 წლის ურუგვაელი **სებასტიან კოატესი**, ვინც იანვრიდან იჯარით მონტევიდეოს „ნასიონალში" თამაშობდა.

ამბები

## მარტინესის კიდევ ერთი ვარიანტი

„ლელო" უკვე წერდა, რომ „ბაიერნის" 25 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ხავი მარტინესმა პეპ გვარდიოლას** საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილება საჯაროდ დააფიქსირა და ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. ცნობილია, რომ ესპანელის ყიდვას „ბარსელონა" ცდილობს. „ბილდის" ცნობით, გერმანიის ჩემპიონებს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა „არსენალმაც". მიუნხენელებთან მარტინესის კონტრაქტს 2017 წლის ზაფხულზე გასდის ვადა და მისი სავარაუდო ფასი 35 მილიონი ევროა. თავად რეკორდმაისტერმა ფეხბურთელში ორი წლის წინ 40 მილიონი გადაიხადა. გრანდების დაინტერესების მიუხედავად, გვარდიოლა შეგირდის გაყიდვას გამორიცხავს.

რაკი „არსენალი" ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ „მეთოფეები" **ლორან კოშელნის** თანამშრომლობის 2019 წლის ზაფხულამდე გაგრძელებაზე შეუთანხმდნენ.

## ევერტონს პასუხი ეჩქარება

„ევერტონის" თავკაცი **რობერტო მარტინესი** მოუთმენლად ელოდება „ჩელსის" პასუხს **რომელუ ლუკაკუს** შესახებ. მერსისაიდელებს 20 წლის ბელგიელის კიდევ ერთი წლით დატოვება სურთ. „გუდისონ პარკზე" დარჩენაზე უარს არც თავად ფეხბურთელი ამბობს. თუმცა ლონდონელთა პოზიცია შეუვალია: ისინი მსოფლიოს ჩემპიონატამდე საკითხის გადაწყვეტას არ აპირებენ.

## მეილერი დაისჯება

„ჰალის" 24 წლის ირლანდიელი ნახევარმცველი **დევიდ მეილერი** ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშებს. სამშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრის მიწურულს მან წაქცეულ **ადნან იანუზაის** განგებ დააბიჯა ფეხი. უკანასკნელი სერიოზულ ტრავმას გადაურჩა. ტრანსლაციის რეჟისორებისგან განსხვავებით არბიტრებს ეპიზოდი გამორჩათ. საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი მეილერს 3-მატჩით უპირებს დისკვალიფიკაციას, რაც „უემბლის" შეხვედრაზეც გავრცელდება. სხვათა შორის, იმავე იანუზაის წინააღმდეგ ანალოგიური არასპორტული საქციელის გამო ასოციაციამ „ფულჰემის" გერმანელი მცველი **საშა რიტერი** შარშან ნოემბერში ასევე 3 მატჩით მოკვეთა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ობსერვატორია

# კობი, ხულიანი, ესტებანი და ტოპ-5-ის სხვა ბებერი მგლები

## საფრანგეთში და გერმანიაში ახალგაზრდებს ენდობიან

შვეიცარიული ორგანიზაცია საფეხბურთო ობსერვატორია ყოველკვირეულად გვთავაზობს სტატისტიკურ-ანალიტიკურ სტატიებს დიდი ხუთეულის (პრემიერლიგა, ლა ლიგა, ბუნდესლიგა, სერია A, ლიგა 1) საკლუბო ჩემპიონატებზე. გთავაზობთ ბოლო ნომრების კრებულს.

### ბებერი მგლები

„ობსერვატორიამ“ ბოლო ნომერში შემოგვთავაზა ანალიტიკა, თუ რამდენად ენდობიან ტოპსაფეხბურთო ქვეყნებში ვეტერან ფეხბურთელებს. წუთობრივად დაითვალეს გასული საუკუნის 70-იან წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა (34 და მეტი ასაკის) ნათამაშები ამ ჩემპიონატებში.

გამოვიდა, რომ ყველაზე მეტად ვეტერანებს იტალიაში ენდობიან - 70-იან წლებში დაბადებულმა ფეხბურთელებმა ჯამში 53 396 წუთი ითამაშეს; შემდეგ მოდის ფრანგული ლიგა 1 - 35 901; პრემიერლიგა - 27 755; ლა ლიგა - 23 678. ყველაზე ნაკლებად ვეტერანებს ბუნდესლიგაში ენდობიან - 21 827.

სხვათა შორის, გერმანიის ჩემპიონატში მოთამაშე ვეტერანებში წუთობრივად მე-9 ადგილზე ჩვენი თანამემამულე **ლევან კობიაშვილია**, ვინც 997 წუთი ითამაშა ამ სეზონში. პირველ ადგილზე გერმანიაში „ნიურნბერგელი“ **რაფაელ შეფერი** და მაინცელი **ზდენეკ პოსპეხი** არიან - 2 925 წუთი. სხვათა შორის, კობიაშვილი ბუნდესლიგის მოქმედ მინდვრის მოთამაშეთა შორის ყველაზე ასაკოვანია - კობი 36 წლისაა.

ტოპ-5 ლიგებში ყველაზე მეტი „კრისტალ პალასის“ არგენტინელმა გოლკიპერმა, 34 წლის **ხულიან სპერონიმ** ითამაშა - 3 330 წუთი. შემდეგ მოდის „ალმერიას“ გოლკიპერი, 38 წლის **ესტებან სუარესი** - 3 240 წუთი. 3 ათასზე მეტი წუთი ითამაშეს: **მორგან დე სანქტისმა** (რომა), **ტიმ ჰოვარდმა** (ევერტონი), **ოლივიე სორლინმა** (ევიანი) და **რიკარდო კარვალიომ** (მონაკო).

მოკლედ, ასაკოვან ფეხბურთელებს უფრო იტალიასა და საფრანგეთში ენდობიან, ნაკლებად ესპანეთსა და გერმანიაში, თუმცა გამონაკლისი ყველგანაა და ლევან კობიაშვილი ერთი ასეთია.

### საული, ლაპორტი, შოუ...

ვეტერანებიდან ახალგაზრდებზე გადავიდეთ. „ობსერვატორიამ“ შეაჯამა 1994 წლის 1 იანვარს და მას მერე დაბადებულ (20-წლამდელთა) ფეხბურთელთა ხვედრითი წილი ტოპლიგებში. მაშ, სად უფრო ენდობიან ახალგაზრდებს?

ალმოჩნდა, რომ ფრანგული ლიგა 1 ამ მხრივ მეწინავეა. 20-წლამდელი ასაკის ფეხბურთელებმა ჯამში ამ ჩემპიონატში 26 337 წუთი გაატარეს. შემდეგ მოდის ბუნდესლიგა - 23 877 წუთი; პრემიერლიგა - 17 669; ლა ლიგა - 14 863 და ბოლოს სერია A - 13 992.

ტოპ-5 ლიგებში 4 ისეთი ახალგაზრდაა, რომელთაც სეზონში 2,5 ათას წუთზე მეტი დაუგროვდათ ნათამაშები. ესენია: 20 წლის ცენტრალური მცველი **მატიას გინტერი** (ფრაიბურგი); 19 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **საულ ნიგესი** (რაიო ვალეკანო); 18 წლის მარცხენა მცველი **ლუკ შოუ** (საუთჰემპტონი) და **აიმერიკ ლაპორტი** (ბილბაო). ეს ბიჭები უკვე საკმაოდ ცნობილები არიან თავიანთ ქვეყნებში. შოუს უკვე ჰქონდა დებიუტი ინგლისის ნაკრებში, ხოლო გინტერს - გერმანიაში. საული ესპანური ფეხბურთის მომავლად ითვლება, ლაპორტი კი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ბურჯია.



ლევან კობიაშვილი „ჰერტას“ კაპიტნის სამკლავურით

### აპრილის საუკეთესონი

„ობსერვატორიის“ მორიგი წერილი აპრილის საუკეთესო ფეხბურთელებს მიეძღვნა ლიგებისა და პოზიციების მიხედვით. მაშ ასე, საუკეთესო მინდვრის მოთამაშეები არიან:

**თვის საუკეთესო განაპირა მცველები:** ინგლისში **სესარ ასპილიკუეტა** (ჩელსი); ესპანეთში **დანი ალვეში** (ბარსელონა); საფრანგეთში **ანრი ბედიმო** (ლიონი); გერმანიაში **ზდენეკ პოსპეხი** (მაინცი) და იტალიაში **მანუელ პასკუალი** (ფიორენტინა).

**თვის საუკეთესო ცენტრალური მცველები:** ინგლისში **გარი კეჰილი** (ჩელსი); ესპანეთში **სერხიო რამოსი** (რეალი); საფრანგეთში **ლოიკ პერენი** (სტ. ეტიენი); გერმანიაში **ემირ სპაჰიჩი** (ლევერკუზენი) და იტალიაში **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი).

**თვის საუკეთესო დაცვითი სტილის ნახევარმცველები:** ინგლისში **მორგან შნაიდერლინი** (საუთჰემპტონი); ესპანეთში **სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა); საფრანგეთში **იოან კაბაი** (პსჟ); გერმანიაში **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი) და იტალიაში **გიოკჰან ინლერი** (ნაპოლი).

**თვის საუკეთესო შემტევი ნახევარმცველები:** ინგლისში **სანტი კასორლა** (არსენალი); ესპანეთში **ისკო ალარკონი** (რეალი); საფრანგეთში **გრეგუარ სერტიკი** (ბორდო); გერმანიაში **კევინ დე ბრუინი** (ვოლფსბურგი) და იტალიაში **ერნანესი** (ინტერი).

**თვის საუკეთესო თავდამსხმელები:** ინგლისში **ედინ ჯეკო** (სიტი); ესპანეთში **არიც ადურისი** (ბილბაო); საფრანგეთში **ედინსონ კავანი** (პსჟ); გერმანიაში **ივიცა ოლიჩი** (ვოლფსბურგი) და იტალიაში **ჩირო იმობილე** (ტორინო).

ნიკოლოზ ნეფარიძე

საავარაუდო ტრანსფერი

# მესიმ აგუეროს ტრანსფერი მოითხოვა

ესპანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, „ბარსელონას“ და **ლიონელ მესის** შორის მიმდინარე საკონტრაქტო მოლაპარაკებების დროს **სერხიო აგუეროს** სახელმა გაიჟღერა. არგენტინელი კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს, მაგრამ ამისთვის „ბარსამ“ მისი თანამემამულის შეძენაზე უნდა იზრუნოს.

შეგახსენებთ, რომ მესის მომავალი კონტრაქტის ირგვლივ მითქმა-მოთქმა დიდი ხნის წინ დაიწყო. ბოლო პერიოდში უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა გავრცელდა. იყო საუბარი მესის გუნდიდან შესაძლო წასვლაზე, იმაზე, რომ მას ფინანსური პირობები არ აკმაყოფილებს და ა.შ. როგორც ჩანს, არგენტინელის მოტივაცია ფინანსური მხარე არაა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და ეცდებიან თუ არა კატალონიელები აგუეროს შეძენას. ფაქტია, რომ თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს „მანჩესტერ სიტი“ იოლად არ დათმობს.

რაც შეეხება ფინანსურ მხარეს: წინასწარი მონაცემებით, ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მესის ხელფასი 20 მილიონი ევრო იქნება, რასაც წარმატების შემთხვევაში, ბონუსის სახით კიდევ 3 მილიონი დაემატება.

ტატო ბაციკაძე






ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A XXXVI ტურის შეჯამება

# FORZA JUVE!

## CAMPIONE D'ITALIA!



ტურინული ტრიუმფი

### სიამაყე და (ცრუ)რწმენა

„იუვენტუსი" ზედიზედ მესამედ გახდა სკუდეტოს მფლობელი, სულ კი ტურინელებს, მათი აზრით, 32-ჯერ აქვთ მოგებული სერია A, ხოლო ოფიციალური მონაცემებით, 30-ედ გაჩემპიონდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში „ბებერმა ქალბატონმა" მესამე ვარსკვლავის მაისურაზე გამოსახვის ოფიციალური უფლება მიიღო, მაგრამ... **ანდრეა ანიალის** და „ოჯახს" სჯერა, რომ ადრე თუ გვიან „იუვეს" 2005 და 2006 წლის ჩამორთმეული სკუდეტოები დაუბრუნდება, ეს რწმენა და სიამაყე კი გუნდს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მშვენიერ მაისურაზე მესამე ოქროსფერი ვარსკვლავი ამოიტვიფროს, რადგან ამ შემთხვევაში ტურინელებს იმის აღიარება გამოუვიდოდათ, რომ მათ 3 ვარსკვლავის უფლება მხოლოდ ახლა მიიღეს. „ბიანკონერის" პატივმოყვარე და ჭკვიანი მრჩევლები თუ მმართველები არასდროს აკლდა და მათაც ალბათ იდეალურთან მიახლოვებული გამოსავალი მოიფიქრეს - ახლა მესამე ვარსკვლავს არ დავიხატავთ, სამაგიეროდ, თუ რომელიმე გუნდი მეორე ვარსკვლავს მოიპოვებს, შემდეგ ჩვენს მაისურაზე მესამე ვარსკვლავიც გამოჩნდება, რადგან ჩვენსა და სხვებს შორის განსხვავებას ხაზი გაესვასო. ამით ანიელიმ ორი კურდღელი დაიჭირა - არ ცნო ჩამორთმეული სკუდეტოები და კბილი გაჰკრა მუდმივ კონკურენტებს - „მილანსა" და „ინტერს", რომლებიც 18-18 ჩემპიონობით მეორე ვარსკვლავთან ყველაზე ახლოს არიან.

„იუვე" „ატალანტასთან" მატჩს უკვე ჩემპიონის რანგში შეხვდა, მაგრამ გუნდს სურს, რომ რეკორდი დაამყაროს და 100-ქულიან ბარიერს გადაცდეს, რის გამოც, „შავ-თეთრებს" მაინც უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც, თანაც სიმბოლურია ისიც, რომ „ბერგამოელებს" მათმა ყოფილმა ფეხბურთელმა **სიმონე პადოინმა** გაუტანა ერთადერთი გოლი - 2011 წლიდან მოყოლებული, ეს მისი მესამე ბურთია სერია A-ში და პირველი მიმდინარე სეზონში. ტურინში დიდი ზეიმი იყო, ოღონდ ამ გუნდს სკუდეტო მოაგებინე და ევროფიასკოსაც გადაიტანს. ფანებს ცოტა ხნით დაავიწყდათ „ბენფიკასთან" წარუმატებლობაც, ისიც, რომ კოპა იტალია დიდი ხანია არ მოუგიათ და თასზე მე-10 სიმბოლურ ტიტულს ელოდებიან და ისიც, რომ სატრანსფერო პოლიტიკა ბოლომდე მოსაწონი არ არის, ხოლო ხელმძღვანელობა დიდი თანხების დახარჯვას ისევ არ აპირებს. ამ დღეებში მათთვის მხოლოდ ეს სიტყვები არსებობს - Forza Juve! Campione D'italia!

### სასუოლომ რა ჰქმნა

„სასუოლომ" ნამდვილად პატარა სასწაული მოახდინა და „არტემიო ფრანკიზე" „იებს" მოწყვიტა, მათ ქომაგებს კი გული დასწყვიტა. მთავარი დამნაშავე კვლავაც **დომენიკო ბერარდი** იყო. 19 წლის ფეხბურთელმა ჰეთთრიქი შეასრულა და უკვე 16 გოლი მოუგროვდა, აქედან 10 მან სულ რაღაც 3 მატჩში გაიტანა - ახლა ფლორენციელებთან, გენუაში „სამპდორიასთან", როდესაც მისმა გუნდმა ასევე 3:4 იმარჯვა და „მილანთან" ლეგენდარულ შეხვედრაში, სადაც პოკერით გამოირჩა და „სასუოლოს" 3 ქულა მოუტანა, ის შეხვედრაც 4:3 დასრულდა. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ ემილია-რომანიას რეგიონს „პარმასთან" ერთად სერია A-ში სულ მინიმუმ „სასუოლოც" დარჩება თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. ხოლო ბერარდიმ კიდევ ერთხელ დაანახა „იუვენტუსს", რომ შანსს იმსახურებს და ტურინელები, რომლებიც ამ ნიჭიერ შემტევს სანახევროდ ფლობენ, ალბათ, იფიქრებენ იმაზე, რომ ბერარდის შემდეგ სეზონში გუნდში ადგილი მოუძებნონ.

### ხარები რქებით მიდიან

„ტორინო" მეტსახელს ამართლებს და ევროზონისაკენ რქებით მიიწევს. „ხარებმა" ამჯერად ვერონაში „კიევო" იმსხვერპლეს. ამისთვის **ჯამპიერო ვენტურას ჯენარო სარდოს** ავტოგოლი ეყო. **ჩირო იმობილეს**, რომელიც არნახულ სეზონს ატარებს და ბერარდის არ იყოს, ასევე „იუვეს" მფლობელობაშია და ტურინელთაგან შანსს იმსახურებს, ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ იგი ბომბარდირთა დავაში 21 გოლით ისევ პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევრებს 2 ბურთით უსწრებს. საერთოდაც, 36-ე ტურში ბორმბარდირთა სიაში პირველ 4 ადგილზე მყოფი ფეხბურთელებიდან გოლი არც ერთს არ გაუტანია. ასე რომ, იმობილე ისევ უმთავრესი ფავორიტია იმისა რომ „კაპოკანონიერე" გახდეს, ხოლო მისი კლუბი ევროსაგზურთან ძალიან ახლოსაა, მაგრამ მატჩებიც უმძიმესი დარჩა - შინ „პარმასთან" და სტუმრად „ფიორენტინასთან".

### კომუნისტები უშანსოდ არიან

„ლივორნომ" ზედიზედ მე-5 თამაში წააგო და „კომუნისტებს" კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავემშვიდობოთ, მათ ელიტაში ადგილის შენარჩუნება არ გამოუვათ. ტოსკანელები „ფრიულიზე" გაიწირნენ, სადაც პირველი ტაიმი 5:2 წააგეს და ხშირი როდია, პირველ ნახევარში 7 გოლი გადიოდეს. უბრალოდ, **ანტონიო დი ნატალე** და ძმანი მისნი დაფრინავდნენ, „ტოტომ" დუბლი გაახერხა. საბოლოოდ, შეხვედრა „ლივორნომ" 3:5 დათმო და ახლა ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „სასუოლოსი" არ იყოს მეტოქეებად „ფიორენტინა" და „პარმა" დარჩა.

თითქმის გამოტირებული გვყავს „კატანიაც", მაგრამ გუნდი ბრძოლას აგრძელებს - აგერ „რომა" გაანადგურა (4:1), „იუვენტუსი" გააჩემპიონა და მცირეზე მცირე შანსიც გაიჩინა. თუ „ელეფანტი" შემდეგ ტურში გასვლაზე „ბოლონიას" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მოუგებს და უკანასკნელ ტურში შინ „ატალანტასთანაც" იმარჯვებს, ვინ იცის... ეგებ სხვა მატჩებშიც ყვლაფერი ისე აეწყოს, როგორც კატანიელებს სურთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერია A მომავალ სეზონში ისევ სიცილიური დერბის გარეშე ვიქნებით, რადგან „კატანია" სერია B-ში ვარდება, ხოლო „პალერმოს", უკვე განაღდებული აქვს ამოსვლა.

„ბოლონია" ვახსენეთ და უმოტივაციო „ჯენოასთან" საგარეო ფრე „როსობლუსთვის" დიდი ვერაფერი შეღავათი გახლდათ, მაგრამ წაგებას სჯობდა. მომავალ ტურში კი ბოლონიელებმა „კატანიასთან" ხსენებული გადამწყვეტი დუელი აუცილებლად უნდა მოიგონ და 8-თამაშიანი მოუგებელი სერია შეწყვიტონ, თორემ ბოლო ტურში რომში „ლაციოსთან" გამარჯვების იმედად დარჩენა, სავარაუდოდ, გუნდს კარგს არაფერს მოუტანს.

დაბოლოს, „კიევო" - „მფრინავი ვირები" მიჯრით მესამედ დამარცხდნენ და მათი ბედი ბეწვზე კიდია. შემდეგ ტურში ვერონელები სარდინიაზე „კალიარის" სტუმრობენ, ხოლო ბოლოს „ინტერს" უმასპინძლებენ. ისე, „კიევო", რომელიც ადრე ლამის **ფრედ თამასის** სინონიმი იყო, უკვე 15 შეხვედრაა არავის დაზავებია (სულ სერია A-ში 6 ფრე აქვს), ამაზე ნაკლებად მეტოქეებს მშვიდობით მხოლოდ მისი თანაქალაქელი „ვერონა" და „ატალანტა" გაეყარნენ (ხუთ-ხუთჯერ).

### მადონინა და ჩაო ძანეტი

ლეგენდარულმა **ხავიერ ძანეტიმ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. უბერებელი არგენტინელი, რომელიც 10 აგვისტოს 41 წლის გახდება, 22-წლიანი მდიდარი კარიერის შემდეგ ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს, რის შესახებაც ძანეტიმ თავად გვამცნო პრესკონფერენციაზე. მომავალ ტურში „ლაციოსთან" საშინაო ეხვედრაში სევდიანი განწყობა და ცრემლების ღვრა იქნება, ისევე როგორც ბოლო ტურში „კიევოსთან". თუმცა ბოლო „დერბი დელა მადონინა" ძანეტის კარგად არ დაამახსოვრდება, მას არ უთამაშია, მაგრამ გუნდმა წააგო, არადა, უკანასკნელი 5 დერბიდან „როსონერისთან" „ინტერს" 4 ჰქონდა მოგებული და ერთი ფრედ დასრულებული. ნანატრი გამარჯვება „მილანს" **ნაიჯელ დე იონგმა** მოუტანა, რომელმაც თავურით გაუტანა „ნერაძურის". ყოფილ კლუბთან მოპოვებული ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო კლარენს ზეედორფისთვის, რომლის პოსტზე დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერაც ბუნდოვანია. „ინტერს" კი მდევრები მიუახლოვდნენ და ევროპალიგის საგზური საფრთხის ქვეშ დადგა, მაგრამ საკითხავი მეორე რამ არის - უნდა კი „ნერაძურის" მომავალ სეზონში ევროპალიგაზე ენერგიის ხარჯვა, როდესაც საშინაო არენაზე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს და თანაც ახალი გუნდით? საქმე და საფიქრალი „ინტერს" ისედაც ბევრი ექნება, რადგან გუნდში უამრავი ცვლილებაა დაგეგმილი. „მილანი" კი ამ გამარჯვების შემდეგ უკვე მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება საძულველ თანაქალაქელს.

### სტატისტიკა და ფაქტები

„იუვენტუსის" ჩემპიონობის გარდა, ავტომატურად გაირკვა, რომ „რომა" მეორე ადგილზე დაასრულებს სეზონს, ხოლო მესამე საფეხურზე მყოფი „ნაპოლი" „ფიორენტინასთვის" მიუწვდომელი გახდა. პირველი სამის გარდა, ჯერჯერობით არც ერთი სხვა ადგილის ბედი არ არის გარკვეულ-გადაწყვეტილი.

„იუვეს" ზედიზედ სამჯერ სკუდეტო 1931-1935 წლის მერე არ მოუგია, როდესაც სულაც მიჯრით ხუთჯერ გაჩემპიონდა. მაშინ გუნდს ამჟამინდელი პრეზიდენტის ანდრეა ანიელის ბაბუა **ედოარდო** მართავდა.

**ანტონიო კონტემ** მიჯრით მესამედ გააჩემპიონა გუნდი. ასეთი რამ ბოლოს **რობერტო მანჩინიმ** გააკეთა „ინტერთან" ერთად. „ატალანტასთან" მოგება კონტეს მე-100 გამარჯვება იყო ყველა ტურნირზე - 34 ფრე და 15 მარცხი.

ტურინელებმა ახალ არენაზე 75-ე შეხვედრა გამართეს - 56 მოგება, 16 ფრე და 3 წაგება („ინტერთან", „სამპდორიასთან" და „ბაიერნთან"). პარალელურად, გუნდმა ახალი რეკორდი დაამყარა, მოიგო რა 31 შეხვედრა ერთ სეზონში და ერთი ქულა აკლია „ინტერის რეკორდამდე, რომელიც 97 ქულით გახდა ჩემპიონი 2006/07 წლების სეზონში.

ბოლო 4 სეზონია, **ანდრეა პირლო** იტალიის ჩემპიონი ხდება.

**კარლოს ტევესმა** მეექვსედ მოიგო ჩემპიონატი და ეს არგენტინელს 5 სხვადასხვა გუნდის რიგებში აქვს გაკეთებული - „ბოკა ხუნიორსთან", „კორინთიანსთან", „მანჩესტერ იუნაიტედთან" (ორჯერ), „მანჩესტერ სიტისთან" და „იუვენტუსთან" ერთად.

უკანასკნელ 17 ტურში ანუ კლარენს ზეედორფის მოსვლის შემდეგ, „მილანმა" 32 ქულა მოაგროვა, რითაც „როსონერი" მხოლოდ „იუვენტუსსა" და „რომას" ჩამორჩება, რომლებმაც 44-44 ქულა მოაგროვეს ამავე მონაკვეთში.

**ვალტერ სამუელს** აქამდე ყველა მილანური დერბი ჰქონდა მოგებული, რომელშიც უთამაშია - ათივე. „ინტერის" არგენტინელ მცველს მხოლოდ 2011 წლის სუპერთასი ჰქონდა წაგებული „მილანთან", რომელიც პეკინში გაიმართა.

„რომამ" მხოლოდ მესამედ წააგო მიმდინარე სერია A-ში და სამჯერვე გასვლაზე - „იუვენტუსთან", „ნაპოლისთან" და „კატანიასთან".

„ბებერ ქალბატონს" შეუძლია გახდეს პირველი გუნდი, რომელიც ყველა საშინაო მატჩს მოიგებს ჩემპიონატში თუ ბოლო ტურში „კალიარის" დაამარცხებს.

„კატანიას" წინააღმდეგ წაგებულ შეხვედრაში **ფრანჩესკო ტოტიმ** თავისი 235-ე გოლი გაიტანა სერია A-ში. ეს მისი პირველი ბურთი იყო „ანჯელო მასიმინოზე". ყველა დროის ბომბარდირთა დავაში ტოტი მხოლოდ **სილვიო პიოლას** ჩამორჩება, რომლის ანგარიშზეც 274 ბურთია.

ანტონიო დი ნატალეს კი უკვე 189 გოლი მოუგროვდა და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება **კურტ ჰამრინს.** ყველა დროის ბომბარდირთა დავაში „ტოტო" მე-8 ადგილზეა. მაგალითად, მე-6 პოზიციაზე მყოფ **რობერტო ბაჯოს** 205 გოლი აქვს გატანილი.

„კატანიას" „რომასთან" მოგების მერე 26 ქულა მოუგროვდა, არადა, წინა სეზონში ამ მომენტისთვის „სპილოებს" ორჯერ მეტი - 52 ქულა ჰქონდათ.

„ნაპოლიმ" საკლუბო რეკორდი დაამყარა - გუნდს მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე უკვე 94 გოლი აქვს გატანილი. **დრის მერტენსმა** თავისი 27-ე დაბადების დღე „კალიარისთან" გოლით აღნიშნა, მას სერია A-ში თავის სადებიუტო სეზონში უკვე 9 ბურთი მოუგროვდა.

„ფიორენტინამ" ბოლო ოფიციალური 7 საშინაო თამაშიდან მე-5 წააგო. ტრავმამომუშებულმა **ჯუზეპე როსიმ** 2014 წელს, მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა და 2013 წლის 22 დეკემბრის მერე პირველი გოლი გაიტანა.

36-ე ტურში უგოლო მატჩი მხოლოდ „ჯენოა"-"ბოლონია" იყო. სულ 34 ბურთი გავიდა ანუ საშუალოდ მატჩში 3 გოლზე მეტი. დაინიშნა 5 პენალტი და აქედან ფეხბურთელებმა მხოლოდ ორის გამოყენება შეძლეს.

გიორგი კაკაბაძე

სიმბოლური ნაკრები



● ძიუდო


ირაკლი უზნაძე

# ძიუდოისტთა მსოფლიოს გეგმები

**უახლოეს უქმეებზე ბაქოში „გრან პრის" მორიგი შეჯიბრება გაიმართება, რომელშიც საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით გამოვა – სათადარიგოებთან ერთად ეროვნული ნაკრების რამდენიმე ლიდერიც გამოვა.**

ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** იქ შემდეგ ფალავნებს აგზავნის: **ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი მესაბლიშვილი** (ორივე – 60), **შალვა ქარდავა, ტრისტან ფეიქრიშვილი** (66), **ლაშა შავდათუაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **ზებედა რეხვიაშვილი, უშანგი მარგიანი** (81), **ზვიად გოგოჭური, ბექა ღვინიაშვილი** (90), **გურამ თუშიშვილი, იოსებ მსხალაძე** (100), **გიორგი ზაქარიაძე, როსტომ ხახალეიშვილი** (+100). ტურნირსაც შესაბამისი დატვირთვა გააჩნია, ვიდრე იმ შეჯიბრებებს, რომლებშიც აქამდე გამოვიდნენ, თუმცა ესეც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამით მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას იწყებენ.

*„ამ ტურნირით ვიწყებთ მსოფლიოსთვის მზადებას, როგორც ევროპისას შევუდექით პარიზის „დიდი მუზარადის" შემდეგ. სასტარტო შეჯიბრებების შემდეგ ჩამოვაყალიბებთ იმ ცხრაკაციან შემადგენლობას, რომელიც მსოფლიოზე იჭიდავებს. ალბათ, ევროპაზე ნამყოფი შემადგენლობა გადახალისდება, თუმცა წინასწარ ვერაფერს ვიტყვი – დაველოდოთ, ვინ როგორ იასპარეზებს. ბაქოში ის კონტიგენტიც გამოვა, ვისაც რეალურად გააჩნია მსოფლიოზე მოხვედრის შანსი, ზოგი კი გამოცდილების მისაღებად ჭიდაობს, რათა იმ დონეზე აიმაღლოს კლასი, რომ მომავალში მოხვდეს ეროვნულ ნაკრებში. შანსს მაქსიმალურად ყველას ვაძლევთ, რათა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინოს"* - თქვა უზნაძემ.

მსოფლიოს ჩემპიონატი აგვისტოს ბოლო კვირაში ჩელიაბინსკში ტარდება. უზნაძე იმაზეც გვესაუბრა, მანამდე რომელ შეჯიბრებებში გამოვლენ ჩვენები და, საერთოდ, როგორი იქნება მოსამზადებელი ეტაპი:

*- ევროპის პირველობიდან დაბრუნების შემდეგ იქ ნაჭიდავები შემადგენლობა ერთი კვირით დავასვენეთ. ახლა ბაქოში ვიჭიდავებთ, მერე კი - 14 მაისს თურქეთში მივდივართ, ანტალიაში, ერთობლივ ვარჯიშებზე. იქ ტატამზეც ვიმუშავებთ, მაგრამ ეს მაინც ძირითადად გამაჯანსაღებელი შეკრება იქნება. იქიდან ერთ კვირაში დავბრუნდებით, 6-8 ივნისს კი კუბის „დიდ პრიზზე" ვიჭიდავებთ, რომელიც პირველი სალიცენზიო ტურნირია. ამის შემდეგ უნგრეთისა და მონღოლეთის „დიდ პრიზებზეც" გამოვალთ, ოღონდ, ულან-ბატორში მხოლოდ ისინი წავლენ, ვისაც საერთაშორისო რეიტინგში ქულების პრობლემა ექნება, ან ნაკრებში კონკურენცია გვექნება გაურკვეველი. კუბასა და უნგრეთში 3-3 დღით ერთობლივ შეკრებებზე ვრჩებით, მონღოლეთის შემდეგ კი ბაკურიანში გვექნება ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი 12-დღიანი შეკრება. 25 ივლისიდან იაპონიაში გვინდა წასვლა ერთობლივ ვარჯიშებზე. ამჟამად მათთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და, ვიმედოვნებთ, წარმატებითაც დასრულდება. იქიდან 9 აგვისტოს დავბრუნდებით და 10-დღიან შეკრებას გავივლით, მერე კი მსოფლიოს პირველობაც მოდის.*

ირაკლი უზნაძეს იმაზეც დავეკითხეთ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში რომელიმე ასპექტში გუნდს ჩავარდნა თუ აქვს.

*„ასეთ გამორჩეულ ჩავარდნას ვერ ვხედავ. ადრე ფიზიკური ხარვეზები იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ახლა გუნდი ილლება, ან ტაქტიკურად ვერ აწყობს ჭიდაობას, ან ფსიქოლოგიურად უჭირს. ბუნებრივია, ცალკეულ ფალავნებთან დაკავშირებით გამონაკლისები არის და ასე ინდივიდუალურად ვიმუშავებთ ამ პრობლემების გამოსასწორებლად"* - გვითხრა მან.

**ირაკლი თავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა

# 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო სამოკოვოდან




**გუშინ** ბულგარულ სამოკოვში, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს ჩვენმა ნაკრებმა 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა. ევროპის ვიცე-ჩემპიონი ქუთაისელი **მექი სიმონია** (76) გახდა, მესამე ადგილზე კი სამტრედიელი **ივერი ჯულაყიძე** (63) და თბილისელი **გივი მაჭარაშვილი** (100) გავიდნენ. ჩვენი გუნდის აქტივში მეოთხე მედალიცაა - პირველ დღეს ბრინჯაო ხაშურელმა **გიორგი ხაჩიძემ** (42) მოიპოვა.

სიმონია წლეულს გამოჩნდა დიდ ასპარეზზე და თავი როგორც კარგი ჭიდაობით, ასევე შედეგებითაც დაგვამახსოვრა – ის ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონი გახდა, ახალგაზრდებში კი მესამეზე გავიდა. თან ძალიან მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენა.

პირველ წრეში მან სლოვაკი **ლუბოშ კუნდრატი** წმინდად – 12:2 დაამარცხა, გერმანელ **კრისტოფ იოჰან სტაინფორტს** 6:2 სძლია, უნგრელ **ბარნაბას ჰორვატს** კი ისევ სუფთად აჯობა – 10:0. ნახევარფინალში სიმონიამ დრამატული პაექრობა მოუგო აზერბაიჯანელ **გაზიმურად მაგომედსაიდოვს** – 7:6, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და ფინალი დათმო რუს **ზავრალი შაპიევთან** – 2:13.

ჯულაყიძე იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, ვინც წლეულს თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი ვერ გახდა (ასეთი სულ ორია გუნდში), მესამეზე გავიდა, თუმცა საერთაშორისო ტურნირებში აჯობა კონკურენტს და მწვრთნელი **გიორგი იანტბელიძეც** ენდო. შეგირდმაც გაუმართლა, რასაც ჯულაყიძის წილისყრაზე ვერ ვიტყვით – პირველივე მეტოქედ ერთ-ერთი ფავორიტი, რუსთა მომავალი ვიცე-ჩემპიონი **ზაურ ტოკაევი** ერგო. ჩვენებურმაც ეს ერთადერთი შეხვედრა დათმო – 2:6 და რაკი მეტოქე საბოლოოდ ფინალში გავიდა, სანუგეშოში გადაერთო. იქ სამტრედიელმა ფალავანმა თავისი შანსი სრულად გამოიყენა – შვეიცარიელი **ოტმარ მიხაელ ბუჩერი** 10:0 გაანადგურა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი მოლდოველ **ნიკოლაე ლესნიკოვს** უარესი დღე აყარა – 16:5 მოუგო.

მაჭარაშვილი ამ ასაკში მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია და ახლაც ჩვენი გუნდის ლიდერად მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, ოქროს მოპოვება ვერც ამჯერად შეძლო, თუმცა ნახევარფინალში კი გავიდა. თანაც, მოუგო რუს მეტოქე **გიორგი ნოგაევს** – 4:1, მანამ კი ალბანელი **პარის კაპერი** ბევრად უფრო იოლად, 8:3 დაჯაბნა. არადა, სწორედ რუსთან მოგების შემდეგ დამარცხდა ნახევარფინალში მოლდოველ **დმიტრი ცეაცუსტასთან** – 7:8. ბრინჯაოსთვის პაექრობაში ჩვენებურმა ბელარუს **ალექსანდრ იარაშევიჩს** წმინდად მოუგო, 10:0.

სამწუხაროდ, უმედლოდ დარჩა ჩვენი გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **შმაგი თოდუა** (54), ვისაც წილისყრამ აშკარად არ გაუმართლა. მან ბელგიელ **ჯოხარ გამბულატოვს** 10:0 კი მოუგო, მაგრამ მერე უკრაინელ **ანდრეი იაცენკოსთან** 5:7 დამარცხდა და მერე არც სანუგეშოში გადასვლის შანსი მიეცა. არადა, იაცენკომ შარშან დუბლი შეასრულა ანუ ევროპის ჩემპიონიც გახდა და – მსოფლიოსიც, ახლა კი ბრინჯაო მოიპოვა. გუშინ ჩვენი გუნდიდან პირველივე წრეში მხოლოდ **თეიმურაზ ვანიშვილი** (46) დამარცხდა – სომეხ ვაზგენ ტევანიანთან 7:9 დათმო.

**ირაკლი თავაძე**

# სტამი უკვე ჩვენია

**ჰოლანდიელი ძიუდოისტი ქალი ესტერ სტამი (70) ოფიციალურად გახდა საქართველოს მოქალაქე – გუშინ მან იუსტიციის სახლში პასპორტიც აიღო და უკვე შეუძლია ჩვენი სახელით ტურნირებში გამოსვლა.**

შეგახსენებთ, რომ მან თავად გამოთქვა ჩვენთან გადმოსვლის სურვილი, რადგან იქაურ ნაკრებში ვერ ხვდება, მისი მიზანი კი რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე მოხვედრაა. 17-წლიანებში ევროპის ორგზის, ხოლო 23-წლიანთა შორის ერთგზის ჩემპიონი სტამი 26 წლისაა და ამჟამად ჰოლანდიაში მესამე ნომერია – უსწრებენ ევროპის ორგზის ჩემპიონი **კიმ პოლინგი** და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლინდა ბოლდერი**. რეიტინგში სახელოვანი **ედიტ ბოშიც** მასზე წინაა, მაგრამ იმას ოლიმპიადის მერე არ უჭიდავია. ჰოლანდიის ფედერაცია კი შეეცადა სტამის დაკავებას, მაგრამ თავად სპორტსმენმა არ ისურვა.

სტამი გუშინ ჩამოფრინდა თბილისში პასპორტის ასაღებად, ამ დილით კი ისევ სამშობლოში გაფრინდა, რადგან მშობლიური ქალაქის – ჰაარლემის საქვეყნოდ ცნობილ კლუბ „კანამარუში" მიეჩქარებოდა. ის ძირითადად იმ კლუბში ივარჯიშებს, საქართველოში კი მხოლოდ მაშინ ჩამოვა, როცა შეკრებებზე გამოიძახებენ. აქ ცხოვრებაზე უარს თვითონ არ ამბობს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქალთა ნაკრები, ფაქტობრივად, არ გვყავს და სპარინგები ვერ ექნებოდა. ამიტომ ჩვენთვისაც ჯობია და მისთვისაც, ისევ „კანამარუში" თუ გააგრძელებს ვარჯიშს. მის გადმოყვანაში ქართულ მხარეს კომპენსაცია არ მიუღია და ჯერჯერობით არც ხელფასი ექნება, მხოლოდ პრემიებს მიიღებს მოპოვებული წარმატებების შემდეგ, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენსაც ადგილობრივი ძიუდოისტები იღებენ.

ესტერ სტამი ჩვენი სახელით პირველად, სავარაუდოდ, მაის-ივნისის გასაყარზე, მადრიდის ევროპის ღია თასზე იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**



ესტერ სტამი

● შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ვიცი, რომ არაერთი პრიზი აქვს მიღებული ქართულ სპორტულ ფილმებს. გთხოვთ ჩამოგვითვალოთ უმაღლესი საერთაშორისო ჯილდოები, რომელიც ქართულმა სპორტულმა კინომ მოიპოვა.

**თ. ნანობაშვილი,**
**თ. ყაჭეიშვილი, ვ. ლომინაძე**
**თბილისი**

პასუხისთვის მივმართეთ საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრესცენტრს. აი, პასუხიც:

სპორტულ თემატიკაზე შექმნილი ქართული ფილმები არაერთხელ აღნიშნულა ჯილდოებით სხვადასხვა ფესტივალზე - საკავშირო, ზონალურ და შესარჩევ საერთაშორისო კინოფორუმებზე. რაც შეეხება უმაღლესი რანგის საერთაშორისო ფესტივალების უმთავრეს ჯილდოებს (გრან პრი ან უფრო მაღალი პრიზი) - ასეთი საქართველოში სამია: მხატვრულ კინოში ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი" - ობერჰაუზენის (გერმანია) სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გრან პრი. 1977 წ.

დოკუმენტურ ფილმებში ალექსანდრე ჟღენტის ორი ფილმია დაჯილდოებული. ორივე იტალიაში - „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" პალერმოს სპორტული ფილმების X საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალის გრან პრი „პალადინო დი ორო" („ოქროს პალადინი"). 1988 წ. ფილმი შეტანილია კლაუდიო ბერტიერისა და უგო კაზირაგის სპორტული კინოს ენციკლოპედიაში და „სტადიონი", მილანის, XXI სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ჯილდო „ებერჰარდი" - ყველა ნომინაციაში საუკეთესო ფილმი. 2003 წ.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ ალექსანდრე ჟღენტმა 1988 წელს (გაზეთი „ლელო", 14 ივნისი) წამოაყენა წინადადება უნიკალური ფესტივალის თბილისში ჩატარების თაობაზე. ფესტივალზე მხოლოდ საფეხბურთო თემატიკის ფილმების კონკურსი უნდა ჩატარებულიყო. წინადადება პალერმოში 1988 წლის ოქტომბერში, Ficts-ის (სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის) ასამბლეაზე ერთხმად იქნა მიღებული, რაც ტელევიზიით ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა ფრანგმა ჟან დიურიმ გამოაცხადა. სამწუხაროდ, პროექტი საქართველოში (მაშინ სსრკ არსებობდა) ვერ განხორციელდა, სამაგიეროდ, მოგვიანებით, მსოფლიოს სპორტული ფილმების ყველაზე მთავარ ფესტივალზე მილანში დაარსდა ცალკე საფეხბურთო ნომინაცია, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.


2 პრიზი „ოქროს პალადინი" და „ებერჰარდი" - მარკუს ავრელიუსის თასი (ა. ჟღენტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტორბოლა

# ლეგენდის პილოტი ლეგენდის გზაზე



მარცხნიდან: ინგლისის ჩემპიონი ჯეიმს ჰოლმანი, დათა ქაჯაია და დანიელ კამპოს ჰული კვარცხლბეკზე

**გუშინ "ლელოს" 80 წლის იუბილეზე, ავტორბოლაში ევროპის ორგზის ჩემპიონმა დათა ქაჯაიამ გაზეთის რედაქციას საჩუქრად რამდენიმე დღის წინათ პორტუგალიაში 2014 წლის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოპოვებული თასი გადასცა.**

-"ლელო" ჩემი საყვარელი გაზეთია და გადავწყვიტე იუბილე მისთვის სიმბოლური საჩუქრით მიმელოცა...

**დათა ქაჯაია** რვა წელიწადია, პროფესიულ ავტორბოლებში მონაწილეობს. სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონატების ეტაპების გამარჯვებულია წყვილთა, წრიულ რბოლებსა და კლასიკურ რალიში. 2012 წელს პირველად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე "ლეგენდის" კლასის ავტორბოლაში, რომელიც შვიდი ეტაპისგან შედგებოდა. პირველი ეტაპი საფრანგეთში გაიმართა. დათა ქაჯაიამ თავიდანვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება - თითო პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. ამის შემდეგ არც ერთ ეტაპზე საპრიზო ადგილს არ გასცილებია. საბოლოოდ კი ევროპის ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულ ბელგიელ **კლოდ ვატეინს** 60 ქულით აჯობა.

ქართველმა ავტომრბოლმა შარშანაც ისახელა თავი - შვიდეტაპიან ევროპის ჩემპიონატში ისევ დიდი უპირატესობით შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის ტიტული. მეორე-მესამე ადგილებზე ფრანგები - **ესკალიე** და **პიზა** გავიდნენ. წლეულს შეჯიბრების ახალი ფორმატი შემოიღეს, რომელსაც "ლეგენდის" სუპერთასი ჰქვია და ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება. მთავარი პრიზისთვის სხვადასხვა კლასში ევროპისა და მსოფლიოს რვა ჩემპიონი მონაწილეობს. მოასპარეზეთა შორის არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული კლუბ "მიაფორსის" წევრები - ორგზის ევროპის ჩემპიონი დათა ქაჯაია და **კონსტანტინე კოლელიშვილი.** ეს შეჯიბრება 10 ქვეყანაში 10 ეტაპად ჩატარდება, თითოეულში ოთხი რბოლაა გათვალისწინებული. უკვე გაიმართა ორი ეტაპი - პორტუგალიასა და ესპანეთში. 25-26 აპრილს "პორტიმაუს" ავტოდრომზე (პორტუგალია) ქაჯაიამ ოთხი რბოლიდან ერთი მოიგო და სამი მეორე ადგილი დაიკავა. პირენეეზე ავტოდრომ "ნავარაზე" ორჯერ პირველი და ორჯერ მესამე იყო.

საგულისხმოა, რომ ამ ეტაპში მონაწილეობდა "ლეგენდის" კლასში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ჯერემია ვაგნერი** (აშშ). დათამ ოკეანისგაღმელი მეტოქე ოთხივე ეტაპზე დაჯაბნა. სუპერტურნირში მონაწილეობს "ფორმულა 3-ის" ცნობილი პილოტი **დანიელ კამპოს ჰული.** მეორე ეტაპზე მანაც ორი პირველი და ამდენივე მეორე ადგილი დაიკავა. საერთო ჩათვლაში სწორედ ის მეწინავეობს. დათა ქაჯაია მეორე ადგილზეა. სუპერტურნირის მესამე ეტაპი 23 მაისს გერმანიაში გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ავტომრბოლი იქაც გვასახელებს.

**ვაჟა დანელია**

● წყალბურთი

# ჩერნოგორიის ქართველი ჩემპიონები



დგანან მარცხნიდან მეორე: ხვიჩა ჯახაია, მეექვსე-ანდრო ბითაძე

საქართველოს 18-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრების წევრები - **ანდრო ბითაძე** და **ხვიჩა ჯახაია** მეორე წელიწადია, ჩერნოგორიის "იადრანის" სპორტულ ღირსებას იცავენ. ამ ახალგაზრდებმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინეს თავი. ჯერ სერბი მწვრთნელების ყურადღება მიიპყრეს, ცოტა ხანს ამ ქვეყნის გუნდებშიც გამოდიოდნენ, მერე ჰერცეგნოვში ამოყვინთეს. საგულისხმოა, რომ მონტენეგროელი ახალგაზრდები 2013 წლის ევროპის ჩემპიონები არიან თანატოლებში. ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ქართველი წყალბურთელების ოთხი თანაგუნდელი გამოდიოდა. ბითაძისა და ჯახაიას გუნდმა "იადრანმა" წლევანდელი ჩემპიონატი ალმავლობით ჩაატარა.- ყველა მეტოქეს აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა, რაშიც ქართველთა წვლილიც ურევია.

**ვაჟა დანელია**

● ხელბურთი

# უკრაინასა და ბელარუსში

საქართველოს თექვსმეტწლამდელ ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდები უკრაინასა და ბელარუსში საერთაშორისო ტურნირებზე იმყოფებიან.

ბროვარიში (უკრაინა) ბიჭების შეჯიბრება უკვე დაიწყო. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო ტურნირზე მხოლოდ ქართველები (დათო მამულაშვილი („რუსთავი"), სანდრო ხანდოლიშვილი, ერეკლე არსენაშვილი, გიგი ფერაძე, ლუკა ბულბულაშვილი, ირაკლი კბილაშვილი („ქარიშხალა"), გიორგი ბიბილეიშვილი, გიორგი მიქაძე („ფოთი"),გიორგი მერკვილაძე („ქუთაისი"),ზაალ ზაალიშვილი („შევარდენი"), ლუკა განერელია, ზურაბ გოგავა („პეგასი"), ხაზეინ რუსტამოვი, ზეზვა იობაშვილი („იმედი"), მწვრთნელები: გიორგი ქობელაშვილი, გიორგი გვაზავა, ჯორჯე რაშიჩი) ჩავიდნენ, ხოლო მოლდოვამ, ბელარუსმა და რუსეთმა თავი შეიკავეს. შესაბამისად, დარჩა ოთხი გუნდი: საქართველოს ნაკრების გარდა, უკრაინის სამი სახელბურთო ცენტრის - კიევის, ბროვარისა და ზაპოროჟიეს კლუბები, რომლებიც ორწრიან ტურნირს ითამაშებენ.

პირველ ტურში ჩვენი ნაკრები ბროვარისთან დამარცხდა – 24:30, მეორეში კი ზაპოროჟიეს სძლია – 41:31. დღეს ჩვენი ნაკრები კიევის გუნდს შეხვდება და პირველი წრეც ამით დასრულდება.

გროდნოში (ბელარუსი) გოგონათა ტურნირი დღეს დაიწყება. სტუმრად მყოფმა ჩვენმა გუნდმა (ქრისტინე ჯავახია („ფოთი"), თამარ ჩაჩუა („პეგასი"), ლედი მაზმიშვილი („მამული"), თათია გადელია, ანა ხურცილავა („ფოთი"), თინა ქიტესაშვილი, ქეთი კუნელაშვილი, მარი მიხელიძე („ყვარელი"), მედეა ჩოხელი, თამარ ჩოგოვაძე, ქეთევან ვენეცკი („პეგასი"), სოფი ნარიმანიძე, ნინო გაბისონია, ანა ყველაშვილი, ქრისტინე ლვალაძე, თეონა ჯალათაშვილი („მამული"), მწვრთნელები: მაია კარბუნარი, ელისო ჟურულიშვილი) ორი საწვრთნელი მატჩი გამართა ბელარუსის 16–წლამდელთ ნაკრებთან, რომელიც ასევე ინტენსიურად ემზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის. ორივე თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა: მასპინძლებმა პირველი მატჩი ექვსბურთიანი, მეორე კი ერთბურთიანი სხვაობით მოიგეს.



საქართველოს და ბელარუსის გუნდების შეხვედრის მომენტი

**ვაჟა დანელია**

● აქცია



მარცხნიდან გიორგი თვალაბეიშვილი, კოტე ტულუში და ზაზა ფაჩულია

# არა ბიონარკოტიკს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკულ კამპანიას კალათბურთელები შეუერთდნენ. დღეს კამპანიის ფარგლებში კალათბურთის აკადემიის დარბაზში ეროვნული ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია**, ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ვლადიმერ ბოისა** და საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისა და კლუბ „არმიას" მწვრთნელი **კოტე ტულუში** 16 წლამდე საკალათბურთო ნაკრებს შეხვდნენ. პროფესიონალმა კალათბურთელებმა ახალგაზრდებს მასტერკლასი მოუწყვეს. შეხვედრაზე სპორტსმენებმა ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობასა და ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარების საფრთხეებზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანია 24 მარტს დაიწყო. მისი მიზანია ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და საზოგადოების ინფორმირება. კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება". კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმები მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდიან, თუ რა შედეგებს იწვევს ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება.

საკალათბურთო სამყარო ბიო და ნებისმიერ ნარკოტიკს არას ეუბნება და დღევანდელი აქციაც, რომელშიც კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ, ამის ნათელი მაგალითი იყო.

www.gbf.ge

● მემორანდუმი

# გახანგრძლივდა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეროვნული ნაკრებისა და კომპანია პსპ-ს შორის „ტექნიკური სპონსორობის" რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის საფუძველზე, მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ფედერაციის მხრიდან პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, პსპ-ს მხრიდან კი დირექტორმა გოჩა გოგილაშვილმა მოაწერეს ხელი პსპ-ს ცენტრალურ ოფისში.

პსპ ეროვნული ნაკრების ტექნიკური სპონსორი 2011 წელს გახდა. ეროვნულთან ერთად პსპ მედიკამენტებით ასაკობრივ ნაკრებებსაც ამარაგებდა. ახალი ხელშეკრულება 2-წლიანია, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს ნაკრების ტექნიკური სპონსორი პსპ 2016 წლის ჩათვლით იქნება.

**მიხეილ გაბრიჩიძე** (კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი):

- მადლობა კომპანია პსპ-ს თანამშრომლობისთვის. მოგეხსენებათ, კალათბურთელებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანია მედიკამენტებით მომარაგება და 2016 წლის ჩათვლით კომპანია პსპ, როგორც ეროვნული ნაკრებს, ასევე ასაკობრივ ნაკრებებს სრულიად უზრუნველყოფს საჭირო მედიკამენტებით. იმედია მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა და კომპანია პსპ ქართულ კალათბურთს ყოველთვის მხარში დაუდგება.

**გოჩა გოგილაშვილი** (კომპანია პსპ-ს დირექტორი):

- დღეს გავაფორმეთ მემორანდუმი საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, რაც გულისხმობს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მომარაგებას საჭირო მედიკამენტებით. ქართული სპორტის გვერდში დგომა ყველა მოქალაქის ვალდებულებაა და ჩვენი კომპანია ყოველთვის მზად არის მხარში დაუდგეს ქართულ კალათბურთს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მის პოპულარიზაციას.

www.gbf.ge



ჯასტინ დოლმანი

# ევროთასი ვალენსიასია

ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირის გამარჯვებული გახდა ესპანეთის „ვალენსია“, რომელმაც ევროთასის ფინალის მეორე მატჩშიც დაამარცხა რუსეთის უნიქსი.

პირველი შეხვედრის შემდეგ, რუსულ კლუბს 13 ქულა ჰქონდა გასაბათილებელი, ამიტომაც თავიდანვე აქტიურობა მართებდა, მაგრამ განმეორებითი მატჩი უკეთ „ვალენსიამ“ დაიწყო და 16:4 დაწინაურდა.

მეორე მეოთხედი **პაბლო აგილარის** ზედიზედ ორი სამქულიანით გაიხსნა და ანგარიში 23:7 გახდა. ამის შემდეგ უნიქსი მეტოქესთან 10 ქულაზე ახლოს არ მისულა, უფრო ხშირად კი სხვაობა ანგარიშში 20 ქულას სცდებოდა. ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში იყო 69:48 და თამაშის დარჩენილი ნაწილი ფორმალობად გადაიქცა.

ორივე შეხვედრაში რუსებმა ვერაფერი მოუხერხეს ამერიკელ **ჯასტინ დოლმანს**, რომელმაც პირველ მატჩში 28 ქულა დააგროვა, გუშინ კი 26 ქულით დაეხმარა თავის გუნდს. შესაბამისად, ვალენსიელი ფინალის MVP გახდა.

„ვალენსია“ მესამედ გახდა ევროპის თასის მფლობელი და გაისად ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა. ასევე შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ევროჩელენჯი მოიგო იტალიის „რეჯო ემილიამ“. მანაც ფინალში რუსული კლუბი - „ტრიუმფი“ დაამარცხა. ახლა გასათამაშებელია ევროლიგის ტიტული, რომლის „ოთხთა ფინალი“ 16-18 მაისს გაიმართება.

| უნიქსი-ვალენსია | 73:85 |
|---|---|

4:16, 21:23, 32:32, 16:14

უ: გუდლოკი (22), ვიუკასი (11).
ვ: დოლმანი (26), მარტინესი (14), ვან როსომი (11).

## ამბები

### დალასმა ვარსკვლავებს დაუმიზნა

პლეი ოფის პირველი რაუნდიდან გამოვარდნილი „დალას მავერიქსი“ შემადგენლობის გაძლიერების ვარიანტებს ეძებს.

იტყობინებიან, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ამ ზაფხულს სერიოზულად აპირებს სატრანსფერო ბაზარზე მუშაობას. „მავერიქსის“ ინტერესთა სფეროშია „ნიუ იორკის“ ორი მოთამაშე: ფორვარდი **კარმელო ენტონი** და ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი**. შეგახსენებთ, რომ კარმელო მალე თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლასა და სხვა გუნდებისგან წინადადებების განხილვას აპირებს.

გარდა ამისა, „დალასი“ განიხილავს „კლივლენდის“ ფორვარდის **ლუოლ დენგის** კანდიდატურასაც. როგორც იცით, ამ კალათბურთელმა არ მოისურვა „კავალიერზში“ დარჩენა და ახალ კლუბს ეძებს.

### საუკეთესო მენეჯერი სან ანტონიოდანაა

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ მორიგი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გამოავლინა. პირველად 1990 წლის შემდეგ, საუკეთესო მენეჯერის ჯილდო სან ანტონიოში გაემგზავრება.

„სპურსის“ გენერალურმა მენეჯერმა **არ სი ბიუფორდმა** 58 ქულა აიღო და გაუსწრო „ფინიქსის“ მენეჯერ **რაიან მაკდონაფსა** (47 ქულა) და „პორტლენდის“ ხელმძღვანელს **ნიკ ოლშის** (34 ქულა).

ბიუფორდს დამსახურებაში ჩაუთვალეს იტალიელი **მარკო ბელინელის** გაფორმება, აგრეთვე კონტრაქტების გახანგრძლივება **მანუ ჯინობილისთან, პეტი მილზთან** და **ბორის დიაოსთან**.

შეგახსენებთ, რომ „სან ანტონიო“ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა (62 მოგება - 20 წაგება) და ზედიზედ მეთხუთმეტედ დაასრულა რეგულარული მინიმუმ 50 მოგებით.

### ევროლიგა პრიზებს არიგებს

ევროლიგის ხელმძღვანელობამ 2013-14 წლების სეზონის შეჯამება დაიწყო. პირველი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა ამერიკელი **ბრაიანტ დანსტონი**. საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ 27 წლის ცენტრი ევროლიგის დებიუტანტი იყო და პირველივე სეზონში გახდა ტურნირის საუკეთესო დამცველი.

გამოკითხვაში დანსტონის მთავარი კონკურენტი იყო ცსკა-ს ცენტრი **კაილ ჰაინსი**. სწორედ ის შეცვალა დანსტონმა „ოლიმპიაკოსში“ წლევანდელი სეზონის წინ. მესამე ადგილზე გავიდა „პანათინაიკოსის“ ფორვარდი **სტეფან ლასმე**.

დანსტონმა ევროლიგაზე 29 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10.3 ქულა, 5.3 მოხსნა, 1.3 დაფარება და 1.1 ჩაჭრა დააგროვა.

გუშინ კიდევ ერთი პრიზის მფლობელი გახდა ცნობილი - ევროლიგის ამომავალ ვარსკვლავად დაასახელეს ბელგრადის „პარტიზანის“ მცველი, 21 წლის **ბოგდან ბოგდანოვიჩი**, რომელმაც 23 მატჩში საშუალოდ 14.8 ქულა, 3.7 მოხსნა, 3.7 პასი და 1.6 ჩაჭრა მიითვალა.

# გაკვეთილი მაიამისგან

„მაიამისა“ და „ბრუკლინის“ სერიას მნიშვნელოვანი ინტრიგა ახლდა თან - რეგულარულ ჩემპიონატში „ნეტსს“ ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული მოქმედი ჩემპიონისთვის, რაც **ჯეისონ კიდის** გუნდს გარკვეულ იმედებს უსახავდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადი იყო, რომ „მაიამი“ პლეი ოფის ეტაპს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა და ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც პირველ ეტაპზე „მშრალი“ ანგარიშით მოიგო სერია. სხვათა შორის ამის გამო „მაიამიმ“ რვადღიანი დასვენება გამოუვიდა, თუმცა ამას რიტმიდან არ ამოუგდია ფლორიდული გუნდი.

თუ პირველი ტაიმის ანგარიშს შევხედავთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თამაში თანაბარი იყო, მაგრამ „მაიამის“ თამაშის მანერა და დამაჯერებლობა ძალიან გვახსენებდა „შარლოტთან“ სერიის მეოთხე შეხვედრას. მაშინ „ჰიტი“ მესამე მეოთხედში გაიქცა და ახლაც ასე მოხდა.

**ერიკ სპოელსტრას** გუნდი ვერ ბრწყინავდა სამქულიანებით - 18-დან მხოლოდ სამი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში, სამაგიეროდ, ბევრი იყო ისეთი შეტევა, რომელიც არღვევდა „ბრუკლინის“ დაცვას და ყველაფერი სამწამიან ზონაში შესვლით სრულდებოდა. პირველ ტაიმში ამ ზონიდან ფლორიდელებმა 28 ქულა დააგროვეს, მეტოქემ მხოლოდ 10.

გადამწყვეტი გაქცევა კი მესამე მეოთხედის შუაში ვიხილეთ - 24:9. თავდაპირველად **კრის ბოშმა** დააგროვა ზედიზედ შვიდი ქულა, შემდეგ **დუეინ უეიდმა** ჩააგდო საშუალო ტყორცნა, მისგან კი ესტაფეტა გადაიბარეს **ლებრონ ჯეიმსმა** და **მარიო ჩელმერსმა**. მეოთხედის ბოლოს **რეი ალენი** და **კრის ანდერსენიც** ვიხილეთ საქმეში. „ჰიტმა“ ამ 12-წუთეულში 17-დან 12 ტყორცნა მოათავსა კალათში და 18-ქულიან უპირატესობას მიაღწია. „მაიამიმ“ მართლაც იდეალურად ითამაშა. მეოთხედის განმავლობაში „ბრუკლინის“ მოთამაშეები ერთხელაც არ დამდგარან საჯარიმოს ხაზზე და მაიამელებმა მხოლოდ ერთხელ დაკარგეს ბურთი.

ფლორიდელთა ტემპი და ზეწოლა არც მეოთხე მეოთხედში შემცირებულა. ძალიან ცუდად ითამაშეს „ნეტსის“ ვეტერანებმა - **პირსმა** და **გარნეტმა**. პირველმა მხოლოდ 8 ქულა დააგროვა, მეორემ კი პირველად პლეი ოფის მატჩში ვერ შეძლო თუნდაც ერთი ქულის აღება.

აღვნიშნავთ, რომ ლებრონმა ამ მატჩში მე-4000 ქულა მოიპოვა პლეი ოფში და ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

| მაიამი-ბრუკლინი | 107:86 |
|---|---|

22:20, 24:23, 33:23, 28:20

მ: ჯეიმსი (22+5 მოხსნა), ალენი (19), ბოში (15+11 მოხსნა), უეიდი (14+5 პასი), ჩელმერსი (12).
ბ: უილიამსი (17), ჯონსონი (17), ტორნტონი (11).

**სერია:** 1-0



ლებრონ ჯეიმსი

# პარკერი არავის ინდობს



ტონი პარკერი

მეორე რაუნდის სასტარტო მატჩი „სპურსს“ დაახლოებით ისეთი გამოუვიდა, როგორიც წინა ეტაპზე „დალასთან“ მეშვიდე შეხვედრა იყო. „სან ანტონიო“ ძალიან მძლავრი დასაწყისის წყალობით გავიდა წინ და დიდი შესვენებისთვის გამარჯვებულის საკითხი უკვე გარკვეული იყო.

„პორტლენდი“ პირველივე მეოთხედში დადგა კატასტროფის წინაშე, როცა 10 წუთში 15 ქულით ჩამორჩა მეტოქეს. სტუმრებმა სცადეს ანგარიშის შემცირება, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მეორე მეოთხედის სტარტზე ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს.

სწორედ ამ დროს ბრწყინვალედ წარმოაჩინეს თავი „სპურსის“ რეზერვისტებმა, რომლებმაც პირველ ტაიმში 29 ქულა დააგროვეს. თავიანთი მოქმედებით მათ შეძლეს **ტიმ დანკანის** უთამაშებლობის კომპენსაცია (ვეტერანი მალე გაემართა სათადარიგოთა სკამისკენ ზედმეტი პერსონალურების გამო). გარდა ამისა, ტრადიციულად შეუჩერებელი იყო **ტონი პარკერი**, რომელსაც დიდი შესვენებისთვის 17 ქულა და 6 შედეგიანი პასი ჰქონდა დაგროვებული. ასე რომ, პირველ ტაიმში მიღწეული 26-ქულიანი უპირატესობის წყალობით, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებს შეეძლოთ უკვე მეორე მატჩზე ეფიქრათ.

ვერც მესამე და ვერც მეოთხე მეოთხედში „პორტლენდი“ მეტოქესთან 20 ქულაზე ახლოს ვერ მივიდა. „სპურსს“ შესანიშნავად ჰქონდა გადაკეტილი საკუთარ ფართან მისასვლელი გზები. მასპინძლების ბრწყინვალე დაცვის გადამკიდე, „პორტლენდმა“ 20 შეცდომა დაუშვა და თამაშიდან 38 პროცენტის სიზუსტით ესროლა.

გრეგ პოპოვიჩის გუნდმა ბოლო 5 მატჩში ოთხი მოიგო, თან სამ საშინაო შეხვედრაში ჯამში 17 (!!!) წამის განმავლობაში იყო მდევრის როლში. ჯერჯერობით გაუგებარია, რის ხარჯზე შეიძლება „პორტლენდმა“ წინააღმდეგობა გაუწიოს ფავორიტს, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ნაადრევად ჩამოვწეროთ ახალგაზრდა და ამბიციური გუნდი.

| სან ანტონიო-პორტლენდი | 116:92 |
|---|---|

29:16, 36:23, 25:26, 26:27

ს-ა: პარკერი (33+9 პასი), ბელინელი (19), ლეონარდი (16+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), დანკანი (12+11 მოხსნა), ბეინსი (10+7 მოხსნა), მილსი (10).
პ: ოლდრიჯი (32+14 მოხსნა), ლილარდი (17), ლოპესი (10+11 მოხსნა).

**სერია:** 1-0

# ჯორდანი: ბავშვობაში რასისტი ვიყავი

ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელმა **მაიკლ ჯორდანმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ ბავშვობაში რასისტი იყო და ვერ იტანდა თეთრკანიანებს.

ჯორდანის განცხადებით, ჩრდილოეთ კაროლინაში, სადაც ის 70-იანი წლების შუაში იზრდებოდა, ულტრამემარჯვენე ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანი ბატონობდა, რომელიც სპორტული გუნდებისთვის სათამაშო ფორმებს და სკოლებისთვის ბიბლიას ყიდულობდა. ჯორდანი კალათბურთში გადასვლამდე ბეისბოლს თამაშობდა და სკოლის გუნდში ორიდან ერთ-ერთი შავკანიანი იყო.

კალათბურთელი აღიარებს, რომ მეორეხარისხოვან ადამიანად მიაჩნდა თავი. ჯორდანის სიტყვებით, მასზე გავლენა იქონია სერიალმა - „ფესვები“, რომელშიც მისი წინაპრების რთული



მაიკლ ჯორდანი

ცხოვრება იყო გადმოცემული. მაიკლმა გაიხსენა, რომ 1977 წელს ერთმა გოგონამ მისი მისამართით უხეში ფრაზა ისროლა, რამაც მომავალი ვარსკვლავი გააცოფა.

*„მე მას გაზიანი სასმელის ქილა ვესროლე, - ყვება ჯორდანი. - მეამბოხე ვიყავი. ყოველთვის მქონდა რასისტული გამოვლინებები. მაშინ ყველა თეთრი ადამიანის წინააღმდეგ გამოვდიოდი“.*

# ჯექსონს ლეიკერსში დაპატიჟებენ?

როგორც მოსალოდნელი იყო, „გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **მარკ ჯექსონი**. ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა.

ჯექსონმა „უორიორზი“ სამი წლის ჩაიბარა და ამ დროის განმავლობაში 212 მატჩი მოიგო და 109-ჯერ დამარცხდა. წლევანდელ რეგულარულში „მეომრებმა“ საკლუბო რეკორდი დაამყარეს 51 მოგებითა და 31 წაგებით, თუმცა პლეი ოფის პირველ რაუნდში 3:4 წააგეს სერია „ლოს ანჯელეს კლიპერთან“.

სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ მარკ ჯექსონმა მალე იპოვოს ახალი სამუშაო ადგილი. ის „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად დასახელდა. მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს დროის საკითხია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნუკერი

# ავარია ფინალის შემდეგ


რონი ო'სალივანი

სნუკერში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **რონი ო'სალივანი** თავის ექვსი წლის ვაჟთან ერთად სერიოზულ ავტოავარიაში მოხვდა.

ო'სალივანი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ შინ ბრუნდებოდა. ინციდენტი ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთით ღამის ორ საათზე მოხდა. როგორც გამოცემა „მირორი" წერს, ავარიის მიზეზი გახდა სველი ტრასა, ამასთან, ავტომობილის სიჩქარე ნორმალური იყო. წყაროს ცნობით, ორკარიანი სპორტკარი გზის დამცავ ბარიერს შეეჯახა და სერიოზულად დაზიანდა. საბედნიეროდ, მამა-შვილ ო'სალივანებს ტრავმები არ მიუღიათ.

რონი ო'სალივანის მენეჯერმა **სონი ნათჰმა** დაადასტურა ინციდენტი: *„ისინი შოკში იყვნენ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საავადმყოფოსთვის არ მიუკითხავთ, შესაბამისად, არანაირი ტრავმა არ მიუღიათ".*

მძლეოსნობა

# გაიმ 500 ათასიც უნდა დააბრუნოს

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გაი** დადებითი დოპინგსინჯის გამო ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და ლონდონის ოლიმპიადაზე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მიღებული ვერცხლის მედალი ჩამოართვეს. სპორტსმენის თქმით, აკრძალული პრეპარატი შედიოდა იმ მალამოში, რომელსაც გაი ტურნირების დროს იყენებდა.

გუშინ გაირკვა, რომ ტაისონს არ აკმარეს დისკვალიფიკაცია და მედლის ჩამორთმევა. მან უნდა დააბრუნოს დაახლოებით 500 ათასი დოლარი, რომელიც მან 2012 წლის ივლისიდან მოყოლებული დღემდე ოფიციალურ ტურნირებზე გამოიმუშავა.

ამ თანხის დიდი ნაწილი ეკუთვნით „ბრილიანტის ლიგის" ხუთი ეტაპის ორგანიზატორებს. სპრინტერი უკვე დაუკავშირდა ოფიციალურ პირებს, რათა მათ თანხა დაუბრუნოს.

ამბები

ჩოგბურთი

## სერენა დანი ალვეშს აქებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** შეაფასა „ბარსელონას" ფეხბურთელის **დანი ალვეშის** საქციელი, როცა მან ტრიბუნებიდან ნასროლი ბანანი შეჭამა.

*„ის, ვინც დანი ალვეშს ბანანი ესროლა - თავად არის მაიმუნი. დანის აღმოაჩნდა სითამამე იმისთვის, რომ აეღო ეს ბანანი და შეეჭამა. ეს ძლიერი მამაკაცის საქციელი იყო. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანებს დავანახოთ ეს პრობლემა. ჯერ კიდევ ბევრი ბარიერის დამსხვრევა დაგვჭირდება, მაგრამ რამდენიმე თაობის შემდეგ ყველაფერი მოგვარდება".*

## ორი ბელგიელის თანამშრომლობა

მსოფლიოს 24-ე ჩოგანმა, ბელგიელმა **კირსტენ ფლიპკენსმა** დაადასტურა, რომ მისი ახალი მწვრთნელი იქნება თანამემამულე **ქსავიე მალისე**. ჩოგბურთელმა ამის შესახებ საკუთარ „ტვიტერზე" დაწერა.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის მალისემ, რომელმაც 2002 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში ითამაშა, გასული სეზონის ბოლოს დაასრულა კარიერა, 2014 წლის დასაწყისში კი კიდევ ერთ ბელგიელს **რუბენ ბემელმანსს** წვრთნიდა.

## მაკინროის მარეის გაწვრთნა უნდა

„დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯონ მაკინროიმ** განაცხადა, რომ დაინტერესებულია ბრიტანელი **ენდი მარეის** გაწვრთნით. *„ასეთი დონის მოთამაშესთან მუშაობა ყოველთვის საინტერესოა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის საუკეთესო ჩოგბურთელთა რიგებში დაბრუნდება. მთავარია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მოაგვაროს და სათამაშო პრაქტიკა მიიღოს".*

## ვოზნიაცკის დედობა მოუნდა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** განაცხადა, რომ ძალიან სურს დედა გახდეს. *„მინდა ახალგაზრდა დედა ვიყო და არ ვაპირებ ეს საკითხი შორეული პერსპექტივისთვის გადავდო. ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა საკუთარი შვილები აღმეზარდა. მინდა საკუთარი თავი მთლიანად მათ დავუთმო და მთელი დრო მათთან გავატარო"*, - განაცხადა ვოზნიაცკიმ.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 31 დეკემბერს გოლფისტმა **რორი მაკილროიმ** კაროლინას დაქორწინება შესთავაზა და ჩოგბურთელმა თანხმობით უპასუხა.

## უფროს ტომიჩს აკრძალვა მოუხსნეს

ავსტრალიელი ჩოგბურთელის **ბერნარდ ტომიჩის** მამას **ჯონ ტომიჩს** ისევ შეუძლია დაესწროს ATP-ის ტურნირებს და ისარგებლოს სხვადასხვა პრივილეგიით. შეგახსენებთ, რომ მას ერთი წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა პროფესიული ტურის მატჩებზე დასწრება. ამის მიზეზი ის იყო, რომ უფროსმა ტომიჩმა საკუთარი ვაჟის სპარინგ-პარტნიორი **ტომას დრუეი** სცემა.

ვარაუდობენ, რომ ჯონ ტომიჩს „დიდი სლემის" ტურნირებზე დასწრებაც შეეძლება. ეს შეჯიბრებები ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის იურისდიქციაში შედიან.

## ტრაგედია ფლორიდაში

გუშინ მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანის, ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** სახლში (ფლორიდის შტატი) ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა. ამერიკელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ჩოგბურთელს სახლი იჯარით ჰქონდა გაცემული და ტრაგედიის მომენტში იქ არ იმყოფებოდა. ძლიერი ქარისა და ცეცხლის გამო, მეხანძრეები დიდი ხანი ვერ ახერხებდნენ შენობის შიგნით შესვლას.

ჩოგბურთი

# რაფა უკვე დამაჯერებელია

გუშინ, მადრიდის მასტერსში ჩაება ესპანელი **რაფაელ ნადალი** და როგორც იქნა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ის თამაში აჩვენა, რომელსაც მისგან გრუნტის სეზონში ელიან. შეგახსენებთ, რომ წელს თავის საყვარელ საფარზე ესპანელს ორჯერ იმედგაცრუება ელოდა - მან ვერ გადალახა მეოთხედფინალის ბარიერი მონაკოსა (წააგო **დავიდ ფერერთან**) და ბარსელონაში (დამარცხდა **ნიკოლას ალმაგროსთან**).

მადრიდის მასტერსი ნადალმა არგენტინელ **ხუან მონაკოსთან** მატჩით დაიწყო. შეხვედრა მხოლოდ 69 წუთი გაგრძელდა. რაფაელმა ათიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 6:1, 6:0 გაანადგურა მეტოქე. ბრწყინვალე იყო ესპანელის სიზუსტე პირველ მოწოდებაზე - 79 პროცენტი.

ეს გამარჯვება ნადალისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მან კარიერაში 684-ე მოგება გაიფორმა, ამერიკელ **არტურ ეშს** გაუსწრო და ყველა დროის სიაში მე-11 ადგილზე გადაინაცვლა. რაფას შემდეგი სამიზნეა გერმანელი **ბორის ბეკერი**, რომელმაც პროფესიულ ტურში 713 მატჩი მოიგო. აი, როგორ გამოიყურება ამ სიის ზედა ათეული:

| | |
|---|---|
| 1. ჯიმი კონორსი (აშშ) | 1253 |
| 2. ივან ლენდლი (აშშ) | 1071 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | -951 |
| 4. გილერმო ვილასი (არგ) | 929 |
| 5. ჯონ მაკინროი (აშშ) | 875 |
| 6. ანდრე აგასი (აშშ) | 870 |
| 7. სტეფან ედბერგი (შვედ) | 801 |
| 8. ილიე ნასტასე (რუმ) | 779 |
| 9. პიტ სამპრასი (აშშ) | 762 |
| 10. ბორის ბეკერი (გერ) | 713 |
| 11. რაფაელ ნადალი (ესპ) | 684 |

■ ■ ■

თუ ნადალი გააგრძელებს ასეთი მძლავრი ჩოგბურთის ჩვენებას, მადრიდში ტიტულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს, რადგან თითქმის უკონკურენციოდ დარჩა. მადრიდში არ თამაშობენ სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**. უთამაშებელი **ენდი მარეი** გრუნტზე არც ისე საშიშია, რაც შეეხება **სტანისლას ვავრინკას**, მან წინა დღეს დათმო სასტარტო შეხვედრა. სენსაციის ავტორი გახდა მსოფლიოს 70-ე ჩოგანი, 20 წლის ავსტრიელი **დომინიკ ტიმი**, რომელმაც 1:6 წააგო პირველი სეტი, მაგრამ მეორე და მესამე სეტებში ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - 6:2, 6:4.

ასე რომ, ნადალს ძალიან დიდი შანსი აქვს, დაიცვას მადრიდში შარშან მოპოვებული ტიტული.



რაფაელ ნადალი

# როჯერი ოთხი შვილის მამაა


როჯერის მეუღლე და ქალიშვილები

„დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის ჩემპიონის **როჯერ ფედერერის** ოჯახში მატებაა. 32 წლის შვეიცარიელი ჩოგბურთელის მეუღლემ **მიროსლავა ვავრინეცმა** ტყუპი ბიჭი გააჩინა, რომლებსაც **ლეო** და **ლენი** დაარქვეს. შეგახსენებთ, რომ როჯერსა და მირკას ასევე ტყუპი გოგონა ჰყავთ - **მაილა როუზი** და **შარლან რივა**. ისინი 2009 წელს დაიბადნენ.

*„მე და მირკა უზომოდ ბედნიერები ვართ, რომ ლეო და ლენი გუშინ გვიან გაჩდნენ"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" ფედერერმა.

როგორც იცით, მეუღლის ფეხმძიმობის გამო როჯერმა უარი თქვა ამ კვირას მადრიდის მასტერსში გამოსვლაზე. რა თქმა უნდა, ფედერერის გულშემატკივრებს აინტერესებთ - ითამაშებს თუ არა ლეგენდა მოახლოებულ როლან გაროსზე. ამასთან დაკავშირებით როჯერის აგენტმა **ტონი გოდსიკმა** განაცხადა, რომ ფედერერი აპირებს საფრანგეთის ღიაზე გამოსვლას.

*„როჯერს გეგმაში აქვს როლან გაროსზე თამაში. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, გამოვა თუ არა ის პარიზამდე რომელიმე ტურნირში"*, - ამბობს გოდსიკი.

დავამატებთ, რომ 32 წლის შვეიცარიელს 2000 წლიდან მოყოლებული არ გამოუტოვებია „დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი.

საინტერესოა, რომ ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორებმა ფსონების მიღება დაიწყეს „დიდი სლემის" ტურნირებზე როჯერ ფედერერის შვილების გამარჯვებაზე.

კოეფიციენტები ასეთია:

როჯერის გოგონების მოგება უიმბლდონის წყვილებში - 250.0;

როჯერის ვაჟების მოგება უიმბლდონის წყვილებში - 200.0;

ნებისმიერი შვილის მოგება „დიდი სლემის" ნებისმიერ ტურნირზე - 50.0;

ნებისმიერი შვილის მოგება უიმბლდონზე - 100.0.

# ჩოგბურთიდან გოლფში


მერდი ფიში

ATP-ის რეიტინგის ტოპ-ათეულის ყოფილი წევრი, ამერიკელი **მერდი ფიში** სერიოზულად არის გატაცებული გოლფით და დიდი გეგმებიც აქვს დასახული. კერძოდ, ფიში აპირებს მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის - აშშ-ის ღია პირველობის კვალიფიკაციაში.

*„საინტერესო იქნება საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება საკვალიფიკაციო ტურნირზე. ბევრი ადამიანი ვერ დაიკვეხნის იმით, რომ ითამაშა ჩოგბურთში აშშ-ის ღია პირველობაზე, ერთი წლის შემდეგ კი გოლფში იგივე ტურნირში მიიღო მონაწილეობა"*, - ამბობს ფიში.

32 წლის ამერიკელი მესამე სპორტსმენი გახდება ისტორიაში, ვისაც ჩოგბურთსა და გოლფში ნათამაშები ექნება აშშ-ის ღია პირველობაზე. მანამდე ეს გააკეთეს **ელსუორტ ვაინზი** და **ფრენკ კონერი**.

მერდი ფიშს შარშანდელი ზაფხულის შემდეგ არ უთამაშია პროფესიულ ტურში, რისი მიზეზიც გულის ავადმყოფობა იყო. ამერიკელმა გოლფში სერიოზული ვარჯიში 2013 წლის შემოდგომიდან დაიწყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დოპინგი




# ბორდელის მფლობელი ვიცეპრეზიდენტი

იამაიკის ანტისადოპინგო სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტი **ლენოქს გეილი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს კანონთან პრობლემების გამო.

ESPN-ის ცნობით, იამაიკის პოლიციას ეჭვი აქვს, რომ გეილი ბორდელის მფლობელი იყო, რომელსაც მონტეგობეიში მასაჟის სალონად ასაღებდა

სულ ცოტა ხნის წინ, იამაიკის ანტისადოპინგო სააგენტომ წელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია მისცა სპრინტერებს - **ასაფა პაუელსა** და **შერონ სიმპსონს** 2013 წელს აღებული დოპინგსინჯის გამო. გეილი ერთ-ერთი იყო იმ სამი ჩინოვნიკიდან, ვინც ამ მძლეოსნებს სასჯელი გამოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# რევანში მინესოტაში



ბრიზგალოვმა შაიბა არ გაუშვა

„ჩიკაგომ“ ძალიან იოლად მოიგო „მინესოტასთან“ სერიის პირველი ორი მატჩი და გაიმყარა ფავორიტის სტატუსი, მაგრამ გუშინდელ შეხვედრაში დამტკიცდა, რომ „ველურები“ ასე იოლად ამ სერიას არ დათმობენ.

„მინესოტა“ ძალიან კარგად თამაშობს ამ პლეი ოფში საკუთარ მოედანზე, სადაც ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. „უაილდს“ ამჯერადაც დაეხმარნენ გულშემატკივრები, მაგრამ მთავარი საქმე ჰოკეისტებმა გააკეთეს. განსაკუთრებით კარგი იყო „მინესოტა“ დაცვაში - მეტოქეს მხოლოდ 19 ზუსტი დარტყმა შეასრულებინა და ამით საქმე გაუადვილა თავის მეკარეს **ილია ბრიზგალოვს**. რუსმა „შათაუტი“ შეასრულა - პირველი ბოლო რვა წლის განმავლობაში.

■ ■ ■

სერიოზული სიტყვიერი ომი იყო „ბოსტონსა“ და „მონრეალს“ შორის სერიის მესამე მატჩის წინ. „ბრუინზის“ წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მეორე მატჩში მსაჯობის გამო, რასაც მეორე მხარე არ ეთანხმებოდა.

ბრძოლა მესამე მატჩში ყინულზე გაგრძელდა და 20 ათასმა მაყურებელმა სცადა, ნამდვილი ჯოჯოხეთი მოეწყო სტუმრებისთვის. მათ ეს მოახერხეს და პერიოდნახევარი „ბოსტონი“ საკუთარ თავს არ ჰგავდა. ამ დროის განმავლობაში „მონრეალმა“ სამი შაიბის გატანა მოასწრო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „კანადიენსის“ დაცვის ლიდერმა **პი კეი საბენმა**, რომელმაც ჯერ **ტომაშ პლეკანეცს** გაატანინა, შემდეგ თავად გამოიყენა მეკარე **ტუუკა რასკთან** პირისპირ გასვლა. შარშანდელი სეზონის საუკეთესო მცველის შედეგიანი სერია ექვს მატჩამდე ავიდა.

**მონრეალი-ბოსტონი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

**გოლები**: 1:0 პლეკანეცი-3 (ვანეკი-3, საბენი-8), 2:0 საბენი-3 (ელერი-5, ვაიზი-2), 3:0 ვაიზი-2 (ბრიერი-3, ვივერი-2), 3:1 პ. ბერჟერონი-3 (კრუგი-6, მარჩანდი-5), 3:2 იგინლა-3 (მეზაროში-2, ლუჩიჩი-3), 4:2 ელერი-3.

**სერია**: 2-1

**მინესოტა-ჩიკაგო 4:0**

0:0, 0:0, 4:0

**გოლები**: 1:0 ჰაულა-2 (ფონტენი-1, მოულსონი-2), 2:0 გრანლუნდი-3 (პომინვილი-6, პარიზე-9), 3:0 პარიზე-4 (რ. სუტერი-4, პომინვილი-7), 4:0 გრანლუნდი-4 (ნიდერაიტერი-3, კოილი-3).

**სერია**: 1-2

ფორმულა 1

# აზერბაიჯანი რუსეთის ნაცვლად?

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ 2014 წელს რუსეთის გრანპრის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამგვარი ვარაუდი გააჟღერა ბრიტანელმა პოლიტიკოსმა სერ **რიჩარდ ოტეუეიმ**. მისი აზრით, ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთს მკაცრი სანქციები ელის და გაჭირდება რუსეთის გრანპრის ფინანსური უზრუნველყოფა.

გუშინ კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის გრანპრის ადგილი კალენდარში, შესაძლოა, აზერბაიჯანის რბოლამ დაიკავოს. გერმანული გაზეთი Die Welt გვახსენებს, რომ უფრო ადრე, აზერბაიჯანულმა მხარემ 2015 წელს ბაქოში ფორმულა 1-ის რბოლის გამართვაზე კონტრაქტი გააფორმა „დიდი ცირკის“ მთავარ პრომოუტერთან **ბერნი ექლსტოუნთან**.

ასევე ეჭვქვეშ დადგა რუსეთში DTM-ის ეტაპის ჩატარება. ამ სერიის ბოსმა **ჰანს-ვერნერ აუფრეხტმა** აღნიშნა: *„ეტაპი რუსეთში უნდა გაიმართოს, მაგრამ ჩვენ, ორგანიზატორები თვალს ვადევნებთ მიმდინარე მოვლენებს და ვაცნობიერებთ, რომ რბოლის მომავალი პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ჩვენ გვჭირდება ალტერნატიული ვარიანტი. საკითხისადმი სხვა მიდგომა, უბრალოდ, უპასუხისმგებლობა იქნებოდა“.*

# ესპანეთს ბარსელონა უნდა ერქვას

ავტოდრომ „კატალუნიას“ შეფმა **სალვადორ სერვიამ** განაცხადა, რომ ესპანეთის გრანპრისთვის სახელის გადარქმევა სურს - მას უნდა ამ რბოლას ბარსელონას გრანპრი ეწოდოს. უნდა აღინიშნოს, რომ შარშან 1991 წელს აშენებულ ტრასას სახელწოდება შეეცვალა და ახლა მას „ბარსელონა კატალუნიას“ ავტოდრომი ჰქვია.

*„ცხადია, რომ ბრენდი „ბარსელონა“ უფრო ფასობს, ვიდრე ბრენდი „ესპანეთი“. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ გვინდა ეტაპს ბარსელონას გრანპრი ეწოდოს, ამას იმის გამო ვაკეთებთ, რომ ბრენდი „ბარსელონა“ უფრო მეტად შეუწყობს ხელს შემოსავლების გაზრდას“*, - ამბობს სერვია.

ესპანეთის გრანპრის ორგანიზატორებს ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან 2016 წლის ბოლომდე აქვთ კონტრაქტი.




ბარსელონას ტრასა

# ახალი შასი ფეტელსა და ფერარის



ფეტელი ახალ შასის მიიღებს

„რედ ბულის“ მთავარმა კონსტრუქტორმა **რობ მარშალმა** განაცხადა, რომ ესპანეთის გრანპრისთვის გერმანელი **სებასტიან ფეტელი** ახალ შასის მიიღებს.

*„ბარსელონაში სებასტიანი ახალი შასით გამოვა. ეს უკვე სეზონის სტარტზე გვქონდა გადაწყვეტილი. შემდეგ ახალ შასის დანიელ რიკარდოც მიიღებს - ეს ბრიტანეთის გრანპრიზე მოხდება.*

*ახალი შასი არ მისცემს სებასტიანს თანაგუნდელზე უპირატესობას, რადგან ისინი მაინც თანაბარ პირობებში იქნებიან. პილოტებს ხშირად არ სურთ შასის შეცვლა - ისინი შეჩვეულები არიან კონკრეტულ მოდელს და როცა კარგ ფორმაში შედიან, სურთ ნაცნობი სიტუაცია რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.*

*ჩვეულებრივ, სეზონის განავლობაში ოთხ-ხუთ შასის ვამზადებთ. ასე რომ, ამ პროცედურაში პილოტისთვის უცხო არაფერია. ჩვეულებრივ, ერთ სეზონში პილოტი ორ შასის იყენებს“*, - ამბობს მარშალი.

■ ■ ■

იტალიური პრესის ინფორმაციით, „ფერარიშიც“ შასის ახალ ვერსიაზე (F14 TB) მუშაობენ, რომელსაც დებიუტი მონაკოს გრანპრის დროს ექნება. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, რბოლა მონაკოს ქუჩებში ტესტი იქნება ახალი შასისთვის, ხოლო შემდეგ ეტაპზე (კანადაში) სიახლემ უკვე სერიოზული პროგრესი უნდა მოუტანოს იტალიურ საჯინიბოს.

პროექტი F14 TB შემუშავებულია იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომელიც სეზონის პირველ რბოლებში გამოჩნდა. მანქანა უფრო მსუბუქი უნდა გახდეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა | 4:0 |
| სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-რეალი | 1:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი II-შალდინგი | 1:1 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მონაკო-გინგამი | 1:1 |
| პსჟ-რენი | 1:2 |

**ჰოლანდია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| გრონინგენი-ვიტესი | 1:0 |
| ალკმაარი-ჰერენვეენი | 3:0 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-რიუ ავე | 2:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| ჰართსი-პარტიკი | 2:4 |
| კილმარნოკი-სტ. მირენი | 1:0 |
| მოზერველი-ინვერნესი | 2:1 |
| სტ. ჯონსტონი-სელტიკი | 3:3 |

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ეირი-კოუდენბითი | 1:2 |
| სტრანრარი-დანფერმლაინი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| კლაიდი-ისტ ფაიფი | 1:0 |
| სტირლინგი-ანენი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-სონდერიისკი | 2:1 |
| ნორდსიელანდი-ოლბორგი | 2:4 |

**ნორვეგიის თასი**

**II ეტაპი**

| | |
|---|---|
| აასანე-სიოგნდალი | 0:2 |
| ბაერუმი-ლინი | 3:3 დ.დ. 3:4 |
| ბიაასენი-კრისტიანსუნდი | 1:3 |
| ერეგსუნდი-არენდალი | 1:1 დ.დ. 3:2 |
| ფინსნესი-ტრომსიო | 2:2 პენ. 2:4 |
| ფოლო-ფრედრიქსტადი | 1:0 |
| ჰიოდი-ფლორო | 1:5 |
| ჰიონეფოსი-გრორუდი | 1:2 |
| იერვი-სტარტი | 1:2 |
| კოლსტადი-რუსენბორგი | 2:10 |
| კონგსვინგერი-ალტა | 3:3 დ.დ. 5:3 |
| ლორენსკოგი-სარპსბორგი | 0:1 |
| მო-ბოდო გლიმტი | 1:3 |
| მოსი-ლილესტრიომი | 0:5 |
| ნილი-ჰამ კამი | 0:0 პენ. 3:4 |
| ნესტ სოტრა-ფილინგსდალენი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ნოტოდენი-სანდეფიორდი | 2:2 დ.დ. 3:2 |
| ოერნი-სტრიომსდოგსეტი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| პორს გრენლანდი-მიონდალენი | 0:1 |
| სტორდი-ბრანი | 1:2 |
| სტრინდჰეიმი-მიოლდე | 0:1 |
| სტრომენი-ასკერი | 3:0 |
| ტრაფი-ოლესუნდი | 0:3 |
| ტრიომსდალენი-ჰარსტადი | 1:1 პენ. 6:5 |
| ულ კისა-გიოევიკი | 2:1 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-ბრინი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ვიდარი-ჰაუგესუნდი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-კალმარი | 0:0 |
| ელფსბორგი-მიალბიუ | 3:1 |
| ჰაკენი-ბრომაპიოკარნა | 3:1 |
| ნორჩოპინგი-ატვიდაბერგი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ლანდსკრონა | 0:1 |
| სირიუსი-ოსტერსუნდი | 1:1 |
| სირიანსკა-იონჩოპინგი | 0:2 |
| ვარბერგსი-გაისი | 1:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კტპ-პკ35 | 2:1 |
| იუვიასკიულა-ვიიკინგიტი | 0:0 |

**ავსტრიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰორნი-ზალცბურგი | 0:7 |
| სტ. პოლტენი-შტურმი | 0:0 დ.დ. 1:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სტ. გალენი | 2:0 |
| იანგ ბოიზი-არაუ | 2:2 |
| ბაზელი-ლუცერნი | 3:1 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ბილი-ვადუცი | 2:1 |
| ვინტერტური-სერვეტი | 1:2 |
| ვილი-ლოკარნო | 2:2 |

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| პაოკ-ატრომიტოსი | 3:0 |
| ასტერასი-პანათინაიკოსი | 1:3 |
| აიგინიაკოსი-ნიკი ვოლუ | 0:1 |
| ირაკლისი (პ)-ჩანია | 1:2 |
| ფოსტირასი-ირაკლისი | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი (პ)-კასიოპი | 0:0 |

**თურქეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ესქისეჰირი-გალათასარაი | 0:1 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აელ-აპოლონი | 0:1 |
| აპოელ-ომონია | 2:1 |
| ერმისი-ანორთოსისი | 0:2 |
| აეკ-ნეა სალამისი | 3:0 |
| დოქსა-აე კუკლიონი | 4:0 |
| ეთნიკოსი-არისი | 3:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| სევასტოპოლი-მეტალისტი | 0:2 |

**უკრაინის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| სლავუტიჩი-შახტარი | 0:0 დ.დ. 0:3 |
| დინამო (კ)-ჩერნომორეცი | 4:0 |

**ხორვატიის თასი**

**ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| დინამო-რიეკა | 0:1 |

**სერბეთის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ვოივოდინა-იაგოდინა | 2:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| კრკა-მარიბორი | 0:4 |
| ოლიმპია-პუბლიკუმი | 0:1 |
| კოპერი-ტრიგლავი | 3:0 |
| ზავრცი-დომჟალე | 0:0 |
| რუდარი-გორიცა | 3:2 |

**უნგრეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-დებრეცენი | 2:0 (2:4) |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ბოტოსანი | 0:0 |
| პეტროლული-ვასლუი | 3:0 |
| ასტრა-საჯეატა | 2:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ჩერნო მორე-ლევსკი | 1:2 |
| ნეფტიხიმიკი-პირინი | 2:1 |
| ბეროე-ლიუბიმეცი | 4:1 |
| ლუდოგორეცი-ლოკომოტივი (პ) | 1:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ნემანი-შახტიორი | 3:0 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-ატლანტასი | 0:2 |
| შალგირისი-ტრაკაი | 1:1 |

**ბოსნიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| სელიკი-სარაევო | 0:2 |

**მაკედონიის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| რაბოტნიჩკი-მეტალურგი | 2:0 |

**ისრაელის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (ნ)-ირონი (ქ-შ) | 0:0 დ.დ. 0:1 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| კობრელოა-პალესტინო | 2:0 |

**ვენესუელა**

| | |
|---|---|
| კარაბობო-ესტუდიანტესი | 1:0 |

**გვატემალა**

| | |
|---|---|
| მუნისიპალი-დეპორტივო | 1:1 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| კავასაკი-სეული | 2:3 |
| ჰიროშიმა-ვ. სიდნეი | 3:1 |
| ბუნიოდკორი-ალ ჰილალი | 0:1 |
| ალ სადი-ფოოლადი | 0:0 |

**სინგაპური**

| | |
|---|---|
| იანგ ლაიონსი-ჰოუმ იუნაიტედი | 1:1 |
| ჰარიმაუ-ვუდლენდსი | 1:0 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ქაბალა-ბაქუ | 3:1 |
| აზალ-ნეფთჩი | 0:0 |
| ხაზარი-სუმგაითი | 4:1 |
| რავანი-შიმურქი | 1:0 |
| ყარაბახი-ინტერი | 4:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| უნიქს-ვალენსია | 73:85 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კრემონა-მილანი | 68:81 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ხუვენტუდი | 83:90 |
| ფუენლაბრადა-რეალი | 67:94 |
| მურსია-ბარსელონა | 72:84 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| მერსინი-გალათასარაი | 88:100 |
| უსაქი-ტრაბზონი | 65:78 |
| კოლეილილერი-პინარი | 99:64 |
| ბეშიქთაში-ბანვითი | 73:60 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მადრიდი**

| | |
|---|---|
| სიმონი-კუბოტი | 5:7, 6:2, 4:6 |
| ბერდიხი-ანდერსონი | 6:1, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-გულბისი | 3:6, 4:6 |
| ისნერი-მატოშევიჩი | 7:6, 6:7, 7:5 |
| ნიემინენი-სისლინგი | 6:3, 6:2 |
| დიმიტროვი-კოპილი | 4:6, 6:3, 7:6 |
| ნადალი-მონაკო | 6:1, 6:0 |
| ჩილიჩი-მატიო | 6:4, 1:6, 6:2 |
| იუჟნი-ლოპესი | 6:3, 3:6, 4:6 |
| ცონგა-ხირალდო | 4:6, 3:6 |
| ალმაგრო-მარეი | 1:6, 6:1, 4:6 |

**WTA. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ჰალეპი-არუაბარენა | 6:4, 6:4 |
| ს. უილიამსი-პენგი | 6:2, 6:3 |
| რისკე-სუარეს ნავარო | 2:6, 4:6 |
| ვოზნიაცკი-ვინჩი | 3:6, 3:6 |
| კუზნეცოვა-ა. რადვანსკა | 3:6, 6:4, 6:7 |
| ბეგუ-ლისიცკი | 3:6, 4:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტორეპორტაჟი მუზეიდან



თამუნა ყულუმბეგაშვილის, გურამ დოლენჯაშვილისა და IPN-ის ფოტოები

ნონა გაფრინდაშვილის ერთდროული თამაშის სეანსი



ლელოს მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე



ალექსანდრე კოტორაშვილის დაჯილდოება



დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

## მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608